ალია

„ეს ყველაფერი მართლაც ჰგავს შეთქმულებას, რაც არ წაადგება ჩვენი ქვეყნის რეპუტაციას“

„ჩვენნაირი ინვესტიცია ბოლო წლებში საქართველოში არ განხორციელებულა“

RMG Gold

N6/2936/ 16 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

# საააკაშვილის საიდუმლო წერილი

## როგორ ცდილობს ექსპრეზიდენტი კეზერაშვილის ციხიდან დახსნას





რა მორიგი სკანდალური დოკუმენტი ჩაუვარდა ხელში „ალიას“? კიდევ რომელი გავლენიანი „ნაციონალების“ გვარები ამოტივტივდა იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმეში? რატომ გაიქცა სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია ამერიკიდან რუსეთში?

ვრცლად გვ. 7

# რა საუბარი შედგა ღარიბაშვილსა და მარგველაშვილს შორის?

## და რა აწყენინეს ივანიშვილს





დაუშვებს თუ არა სამთავრობო კრიზისს და რომელ მინისტრებს გაწირავს ღარიბაშვილი? რის გამოა ივანიშვილი განაწყენებული მარგველაშვილზე? რა უსაყვედურა პრემიერმა პრეზიდენტს და რა მოხდება, თუკი მარგველაშვილი ღარიბაშვილს ოპოზიციაში ჩაუდგება?

ვრცლად გვ. 9

# რამდენს ფლანგავს ხადური კომფორტსა და დროსტარებაში?





რამდენით აზარალა ბიუჯეტი ნოდარ ხადურმა? რა თანხა დაიხარჯა რესტორნებში სუფრებზე, მომღერლებსა და მოცეკვავეებზე? რამდენი დაიხარჯა სასმელებში, სუვენირებსა და ავტომანქანებში? რა საქმეების შესწავლა მოუწევს აუდიტის სამსახურს?

ვრცლად გვ. 3

## დიდი ღალატი პარლამენტსა და თავდაცვის სამინისტროში!



## რა უნდა გაკეთდეს, რომ „ნაციონალების“ ყაყანი დამთავრდეს?



## სასამართლო რეფორმას თეა წულუკიანი ბლოკავს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლაშა ამირეჯიბი დააკავეს და დააჯარიმეს



რუსთავის საქალაქო სასამართლომ „სახალხო კრების“ წევრი ლაშა ამირეჯიბი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ასი ლარით დააჯარიმა.

ამირეჯიბი 14 იანვარს, გვიან ღამით გარდაბანში, სუს-ის ადგილობრივი თანამშრომლის სამირ ხიალოვის სახლთან დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, ამირეჯიბი ხიალოვთან ოჯახში არაფხიზელ მდგომარეობაში მივიდა და დებოში ატეხა, ამ უკანასკნელმა კი საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

პროკურატურა განსასჯელისთვის 2000-ლარიანი ჯარიმისა და 90-დღიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, რაც არ დაკმაყოფილდა. (ფრონტნიუსი)

## 4 მილიონის სანთლები შეიძინეს



მამა გაბრიელის საფლავზე მისულმა სურვილის ასრულების მთხოვნელებმა სანთლებში, ჯამში, 4 მილიონი ლარი დახარჯეს.

მცხეთის ეპარქიის ცნობით: „დედა პარასკევას მიერ გაჟღერებულ „სიზმარს“ თითქმის მთელი საქართველო გამოეხმაურა, ასობით ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი და საკმაოდ სარფიანად: მონაზვნებს სანთლების უპრეცედენტო რაოდენობა ჰქონდათ მობილიზებული და ამ დღეების მანძილზე მხოლოდ სანთლების გაყიდვით 4 მილიონი ლარი შემოვიდა“.

შეგახსენებთ, 4 იანვარს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დედა პარასკევას ჰქონდა ხილვა, რომლის მიხედვით, თუ 7 იანვრამდე მამა გაბრიელის საფლავს 2 რამეს შესთხოვდი, აუცილებლად აგისრულდებოდა. ინფორმაციის გავრცელებისთანავე მცხეთაში, მამა გაბრიელის საფლავთან ათასობით ადამიანი ჩავიდა.

მოგვიანებით დედა პარასკევამ განაცხადა, რომ მას არანაირი ხილვა არ ჰქონია. (ფრონტნიუსი)

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

## „თანაინვესტირების ფონდში“ 6 მილიარდი დოლარია

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „საქართველოს თანაინვესტირების ფონდში“ 6 მილიარდი აშშ დოლარია მობილიზებული. ფონდი პოტენციურ ინვესტორებს ხელსაყრელ პირობებსა და განსაკუთრებულ შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების განსახორციელებლად.

„საქართველოში დაწყებითი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნება მეწარმეობის განვითარების სააგენტო. სწორედ მისი მეშვეობით უნდა შევუწყოთ ხელი დაწყებითი ბიზნესის განვითარებას და, შესაბამისად, უნდა შევქმნათ საფუძველი, რომლის შემდეგაც კომერციული ბანკები მოახერხებენ ახალშექმნილი ბიზნესის დაკრედიტებას“, – აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, 2013 წლის ივლისში საქართველომ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც პრემიერის განცხადებით, ქმნის საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის უპრეცედენტო პოტენციალს და 500-მილიონიან ბაზარზე გასვლის უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს ქართულ ბიზნესს.

„ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს საექსპორტო პოტენციალს, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის. ჩვენ კარგად გვესმის ხელისუფლების როლი ამ პროცესში და ვხედავთ შესაძლებლობას, ერთად გადავწყვიტოთ ქვეყნის ეკონომიკისთვის ისეთი პრიორიტეტული ამოცანები, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირება და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა, საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების განვითარება და ამის შედეგად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)



# დიდი ღალატი პარლამენტსა და თავდაცვის სამინისტროში!



საქართველოში ფულის მუქთად კეთება გრძელდება ყველა „დირკაში“... ერთი შუბლის ძარღვის გაწყვეტაა საჭირო, თორემ მერე მიდის წყალივით, არც სინდისი შეგაწუხებს, არც ნამუსი და არც არაფერი, ფულს ფული მოაქვს. უბრალოდ, მომენტი უნდა ჩაიგდო ხელში, როგორმე ან პარლამენტში უნდა შეძვრე, ან მინისტრად მოჯდე, ან კიდევ რელიგიურ გრძნობებზე ითამაშო. მოკლედ, არ არის პრობლემა. დავუშვათ, არავითარი რეიტინგი არ გაგაჩნია და მაინც პარლამენტში მოხვდი, რა უნდა ქნა? არაფერი, უბრალოდ, აღიარებ, რომ ადრეც სააკაშვილთან იყავი შეკრული, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდეც საეჭვო არხებით ფინანსდებოდი და რაც მთავარია, ასეთი განცხადებები უნდა აკეთო: „სააკაშვილის დაპატიმრებას მსოფლიო არ მოიწონებს, რადგან დღეს მისი რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღალია“.

ეს სიტყვები იმ ლევან ბერძენიშვილს ეკუთვნის, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინათ ამტკიცებდა, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიას ვერ შეცვლის, მე ამისი არ მჯერაო: „ეს საქართველოში პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბიზნესმენი პოლიტიკაში მიდის. დაახლოებით უკვე შეგვიძლია, ვივარაუდოთ, ხმების რამდენი პროცენტის აღებას შეძლებს ივანიშვილი არჩევნებში – 7 პროცენტის და ეს მაქსიმუმია, ისევე, როგორც ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში მოხდა“.

ახლა იძულებული ვარ, ერთი საიდუმლო გავამხილო... მას შემდეგ, რაც მე ბიძინა ივანიშვილს შევხვდი (2012 წლის აგვისტო), საკმაო დრო გავიდა და ამიტომ უკვე შეიძლება რაღაცების თქმა. ჩვენ მაშინ თითქმის 3 საათი ვილაპარაკეთ და ბუნებრივია, „რესპუბლიკელების“ თემასაც შევეხეთ. მე დავუსვი შეკითხვა, რატომ მოიყვანა თავის გუნდში ასეთი კოსმოპოლიტები და უჯიშოები? მან თავიდან სცადა ახსნა, რომ „რესპები“ არ არიან ცუდები, მართალია, მათ მოსახლეობაში არა აქვთ მაღალი რეიტინგი, მაგრამ მაინც შეიძლება დაყრდნობა და ასე შემდეგ. ეს იყო, უბრალოდ, თავდაცვა, ბატონი ბიძინა თითქოს თავს იმართლებდა... მე არ მოვეშვი, იქით შევუტიე და ვუთხარი, რომ „რესპუბლიკელები“ თავიდან ყველა ხელისუფლებას ეტენებიან, ყველას იყენებენ და მერე ღალატობენ-მეთქი. ის ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მომიგო: „მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ ახლა ასეა საჭირო, ცოტა ხანს მაცალეთ“. კი, ბატონო, ვაცალეთ, გავიდა დრო, პარლამენტიც ჩავაბარეთ, მაგრამ ჩემი სიტყვები გამართლდა, ისინი ისევ მოღალატეობრივ გზას დაადგნენ.

ფაქტები გნებავთ? ფაქტები იმდენია, ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა, მაგრამ ბოლო ორზე გავამახვილებ ყურადღებას: პირველი – მათ უსინდისოდ გადააკეთეს და დაამახინჯეს ივანიშვილის მიერ დაწერილი თვითმმართველობის კანონპროექტი. ამის შემდეგ დავით ბერძენიშვილი ყოველდღე გამოდიოდა ტელევიზიით და აცხადებდა, რა ვქნათ, ეს პროექტი ბატონმა ბიძინამ მემკვიდრეობად დაგვიტოვაო. ეს იყო ვირეშმაკული სვლა საკუთარი ინტერესების გასატარებლად. კიდევ კარგი, საზოგადოება ფეხზე დადგა და „რესპებმა“ ვერ გაიტანეს თავიანთი მავნებლური ზრახვები; მეორე – უკვე აშკარად ჩანს, რომ ესენი „ნაციონალებთან“ ერთად აპირებენ ქვეყნის სადავეების ხელში ჩაგდებას და ყოველდღიურად თამაშობენ ქართველი საზოგადოების ნერვებზე. რას ჰქვია, სააკაშვილის რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღალია? დღეს რომ ასეთ სისულელეს საჯაროდ განაცხადებ, ან რეგვენი უნდა იყო, ან – მოღალატე. დავუშვათ, სააკაშვილის რეიტინგი მაღალია ქვეყნის გარეთ, ჩვენ, ქართველებს, რაში გვაინტერესებს, თუკი სამართლიანობის აღდგენა გვინდა? ჩვენზე უკეთესად ხომ არავინ იცის, 9 წლის განმავლობაში გიჟმა სააკაშვილმა რამდენი დანაშაული ჩაიდინა?! 2012 წლის აგვისტოში ბიძინა ივანიშვილს ვუთხარი, რომ ძაღლის კუდი არასოდეს გასწორდებოდა და ასეც მოხდა, ამათი ჯიში ასეთია და რატომ უნდა შეიცვალოს რამე?! აგერ, ახლა გვიცხადებენ, თბილისში, რუსთაველის 8-ში მდებარე პარლამენტის შენობა შესაძლოა, ქუთაისს გადაეცეს და ტერიტორიაც, რომელზეც პარლამენტის ისტორიული შენობაა განთავსებული, ქუთაისისა გახდესო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი ქუთაისში დარჩება. კი, მაგრამ მაშინ რატომღა დაიწყო სასწრაფო წესით დავით ბაქრაძის მიერ დანგრეული შენობის რემონტი? მე ვიცი, საპარლამენტო უმრავლესობაში 95 პროცენტს თბილისში უნდა გადმოსვლა, მაგრამ არ უნდათ „რესპუბლიკელებსა“ და „ნაციონალებს“. ამ განცხადებამ საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს უნიათობაზე მიანიშნებს და მეორეც, ამ ყველაფერსაც ისევ ღალატის სუნი უდის. მე მგონი, სააკაშვილის რეჟიმი ჩვენ ცრუპენტელობის გამო მოვიშორეთ და როგორც ვიცი, 2016 წელს კიდევ არის საპარლამენტო არჩევნები, აღარაფერს ვამბობ ვადამდელ არჩევნებზე.

მეორე თემა, რომლის შესახებაც ახლა მოგითხრობთ, კვლავ ფულის კეთებასა და ღალატს უკავშირდება: სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფდა „ნაციონალ“ არჩილ გეგენავას კომპანიები – „მეგაფუდი“, „გეოპროვიანტი“ და „ფუდსერვისი“, რომლებშიც წილები გაფორმებულია მის ძმაზე, ანდრო გეგენავაზე. თავდაცვის სამინისტროსა და აჩიკო გეგენავას კომპანიების თანამშრომლობა კი დაიწყო 2006 წელს, მაგრამ თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნის შემდეგ ამ უწყებამ შეწყვიტა გეგენავების კომპანიებთან კონტრაქტები, რადგან ის დაპირისპირებული იყო გიგი უგულავასთან (თავად უგულავა გეგენავების ძმაკაცია). ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით, ამ კომპანიებთან თანამშრომლობა განახლდა არადა, გეგენავების მიერ მიწოდებული საკვები პროდუქტები ყოველთვის გამოირჩეოდა უხარისხობით, მათ მიერ არაერთხელ იქნა თავდაცვის სამინისტროში შეტანილი უხარისხო და ვადაგასული ხორცის პროდუქტები, რასაც მოჰყვა ჯარისკაცების მოწამლვა. ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა „ალიაში“.

ბაჩო ახალაიას დროს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა „ქართული კვების კომპანია“, რომელმაც საქმიანობა გააგრძელა ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგაც. ამ კომპანიის დირექტორად ირაკლი ალასანიამ დანიშნა თავისი ახლობელი, გიორგი როგავა, რომელიც დღეს ფარულად თანამშრომლობს გეგენავას კომპანიებთან და ისევ გრძელდება ვადაგასული, უხარისხო პროდუქციის შეტანა სამხედრო ნაწილებში.

ახლა შეგიძლიათ, ამ ყველაფერს სახელი თქვენ მოუძებნოთ, გნებავთ, ღალატი დაარქვით, გნებავთ – სულის წაწყმედა, გნებავთ – ფულისმოყვარეობა. ყოვლად ამოუხსნელია, რატომ უნდა ეკიდოს ისევ ქართული ჯარის კვება „ნაციონალებზე“ და რატომ უნდა ხდებოდეს ეს ყველაფერი ფარული გარიგებებით?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კეზერაშვილის ბიზნესით დაინტერესდითო



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას ეხმაურება და დავით კეზერაშვილის ბიზნესსაქმიანობის მიმართ არსებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ითხოვს.

„მთელი მინისტრობის განმავლობაში კეზერაშვილი არ ყოფილა არც ერთი დღე ბიზნესმენი. საქართველოს არასოდეს გაუგია იმის შესახებ, რომ ამ ადამიანს, რაიმე ბიზნესი ჰქონდა, რაც მას ქონების დაგროვების საშუალებას მისცემდა. აღმოჩნდა, რომ მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, ეს ადამიანი გახდა შპს „ლუკოილის“ 50%-იანი წილის მფლობელი. სიმბოლურ ფასად მიიღო მან ეს აქტივები. ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ ეს იყო ბიზნესის „გათეთრება“ და მას ეს ბიზნესი მანამდეც ჰქონდა, სანამ მინისტრი იყო, უბრალოდ, ამაზე არ საუბრობდა. როდესაც გაჩნდა „გალფი“, მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, როგორ მოახდინა ზეწოლა სხვა პატარა ქსელებზე იმისთვის, რომ ჩაენაცვლებინა ისინი საკუთარი კომპანიით. დღეს ეს ფაქტი დადასტურდა, რასაც დიდი ხანი უარყოფდა ეს ადამიანი, რომ 2012 წლის ოქტომბრამდე იყო ამ ქსელის მესაკუთრე, ისევე როგორც ბევრი სხვა ბიზნესის, რომელიც ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის შვილობილია“, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, საინტერესოა და ძალიან ბევრი კითხვაა, როგორ გაუჩნდა ამხელა შემოსავლები მუდმივად საჯარო სამსახურში მყოფ პიროვნებას და როგორ მოახერხა მან მინისტრობიდან გადადგომისთანავე მილიონერად გახდომა.

„ასევე, ძალიან ბევრი სკანდალი იყო იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებითაც და მინდა დარწმუნებით გითხრა, რომ ეს დოკუმენტები ძალიან მალე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. რამდენიმე ჟურნალისტისგან მე მაქვს პირობა, რომ მათ აქვთ ეს დოკუმენტები და გამოაქვეყნებენ უახლოეს პერიოდში“, – განაცხადა დეპუტატმა.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ოპონენტები არ იტყვიან, კეზერაშვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია და მის წინააღმდეგ პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებს ვინმე. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტებს გაეცეს პასუხები“, – აღნიშნა დეპუტატმა. (ინტერპრესნიუსი)

## მრიცხველების გეგმური შემოწმებაა?




კომპანია „ყაზტრანსგაზ თბილისში“ გლდანულაში აბონენტთა ნაწილისთვის მრიცხველების მოხსნას გეგმური შემოწმებით ხსნიან.

„ყაზტრანსგაზ თბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებით, გლდანულაში გეგმური შემოწმებისას, კომპანიის თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ზოგიერთი მრიცხველი დაზიანებულია, ჩერდება. კომპანიამ დაზიანების დადასტურების მიზნით, აღნიშნული მრიცხველები ლაბორატორიულ შემოწმებაზე გადაიტანა.

„ყაზტრანსგაზის“ განმარტებით, დიდი ალბათობით, უმრავლესობაზე დაზიანება დადასტურდება და აბონენტები დაჯარიმდებიან. დაჯარიმებულ აბონენტებს ძველი მრიცხველები აღარ დაუბრუნდებათ და მათ ახლის შეძენა მოუწევთ. (ინტერპრესნიუსი)

# რამდენს ფლანგავს ხადური კომფორტსა და დროსტარებაში?



**„ალიას“ ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, როგორც ვიცი, დეტალურად შეისწავლეთ, რა თანხა დახარჯა ფინანსთა სამინისტრომ ჭამა-სმასა და კომფორტში. დავაკონკრეტოთ, რაში რამდენი დახარჯა ხადურის უწყებამ?**

– მხოლოდ რესტორნებში იმდენი აქვს დახარჯული, რომ, ალბათ, გული გაუსკდება ხალხს. საინტერესოა, რა კატეგორიის სტუმრები იყვნენ მიწვეული ქალაქ მცხეთაში მდებარე რესტორან „გუჯარში“, 2012 წლის 1-ლი ნოემბრიდან, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (ანუ ახალი ხელისუფლების პირობებში), სადაც დაიხარჯა საკმაოდ დიდი თანხა. ზოგჯერ ხადური, შეიძლება არ იყო სუფრაზე და მისი მოადგილე იყო. ამის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ სრული დარწმუნებით გეუბნებით, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ გაშლილი სუფრები მთლიანად ბიუჯეტმა დააფინანსა.

**— რა ამბავია, ბევრი სტუმარი ჰყავდათ თუ განსაკუთრებული სერვისით ისარგებლეს?**

– არის იქ სოფო ბედიას სასიმღერო ნომრები და ანსამბლ „რუსთავის“ ცეკვები ერთდროულად რესტორან „გუჯარში“. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე, ან საერთოდაც სიმბოლურად სტუმრების პატივსაცემად შეიძლებოდა ეს ნომრებიც შეეკვეთა, მაგრამ არა 1000-ლარიანი სიმღერები და 2063-ლარიანი ცეკვები. ამ სიამოვნებაზე სულ 14 ათას ლარზე მეტი დახარჯეს. ბედიაზე 1000 ლარი ყოფილა ანაზღაურება, ანსამბლ რუსთავის მოცეკვავეებზე 1760 ლარი. ასევე, შეუკვეთიათ დამატებით 370-ლარიანი ტორტი. ეს ყველაზე გრანდიოზული სუფრა იყო, როგორც ჩანს. არის ასეთი კერძები სხვადასხვა მენიუებში: ზუთხი მთლიანი – 200 ლარად, ხოხობი შემწვარი – 80 ლარად, წიწილა სოფლის მაყვალში – 33 ლარად. ეს ყველა თითო პორციის ფასი. კიდევ ბევრია ასეთი. მე თქვენ მოგაწვდით მენიუებს, რასაც ჭამდნენ. ხალხს პურის ფული არ აქვს და, ალბათ, ყველას დააინტერესებს, აბა, რას მიირთმევენ ჩვენი ძვირფასი პოლიტიკოსები და სტუმრებიო. ზუთხის მწვადებს, შემწვარ ხოხბებს და 165-ლარიან არაყს რომ დაინახავს კაცი, კი გაუსკდება გული, მაგრამ რად გინდა, მაინც იგივეს აკეთებენ. უყვართ ფუფუნებაში ცხოვრება. რომ ჰკითხო, სტუმრები გვყავდნენო, იტყვიან, ეს ძალიან მაგარი არგუმენტი აქვთ.

**— თქვენ თქვით, ხადურმა ყველაფერი ახალი შეიძინა, მეტი კომფორტის უზრუნველსაყოფადო. კიდევ რაში დახარჯა ფული?**

– რესტორნების გარდა, იცით, რამდენი ლარის ავტომობილია შესყიდული 2013-ში? როდესაც ბატონი ნოდარ ხადური აცხადებს ტელევიზიით და, ამბობს, მე ახალი ავტომობილი არ შემისყიდია, რაც დამხვდა, იმით ვსარგებლობო, მინდა მოგახსენოთ, სინამდვილეში რაში მდგომარეობს საქმე: ფინანსთა სამინიტრომ ე.წ. ჩანაცვლების მეთოდით, 2013 წლის 21 აგვისტოს, შეიძინა 2 ჯიპი – „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ (ღირებულება – 101 094 ლარი) და „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“ (ღირებულება – 124 500 ლარი). გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა იგივე ე.წ. ჩანაცვლების მეთოდით, 2013 წლის 15 იანვარს, შეიძინა „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ (ღირებულება – 92 604 ლარი). თუ ბატონ ნოდარ ხადურს ახალი ავტომობილი არ შეუძენია და იმით სარგებლობს, რაც მას „დახვდა“ და, თუ ეს ახალი ავტომობილები სხვა თანამდებობის პირებისთვის იყო შეძენილი ფინანსთა სამინისტროში და არა მინისტრისთვის (ვინაიდან თვითონ ამბობს, ახალი ავტომობილი არ მყავსო), გამოდის, რომ მისი „ძველი“ ავტომობილი სჯობს თურმე იმ ახალ ავტომობილებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. როგორ დავიჯერო რომ, მინისტრი უფრო „ცუდი“ ავტომობილით სარგებლობს, ვიდრე მისი მოადგილეები, სამსახურის უფროსები, ან სულაც დეპარტამენტის უფროსები?!

**— 165-ლარიანი არაყი რა უბედურებაა, ვითომ რა მოხდებოდა, ხადურსა და მის თანამშრომლებს ნაკლებფასიანი არაყი რომ დაელიათ...**

– რა მოუვიდოდა და წონაში დაიკლებდა ნოდარი. ისე, რესტორანში განმარტეს, ის 165-ლარიანი არაყი ფინანსურ პოლიციას შეუკვეთია, პოლონეთის დელეგაცია იყოო ჩამოსული. ამნაირ ჭამა-სმაზე 3 მილიონ 764 ათასზე მეტი დახარჯა მხოლოდ შემოსავლების სამსახურმა 2013 წელს და ხომ წარმოგიდგენია, მთლიანად ფინანსთა სამინისტროს სისტემაში რამდენი იქნება. სულ 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ, სარესტორნო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებაც დაგიანგარიშეთ. გამოვიდა: 109 733 ლარი. ანუ ეს 109 733 ლარი მხოლოდ რაც ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ დაიდო ხელშეკრულებები 2013-ში, თორემ სხვა მისი ქვეუწყებების სარესტორნო ხარჯები კიდევ ცალკე აქვთ. ანუ ასეთი სიამოვნებით სარგებლობდნენ არა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს, არამედ მისი ქვეუწყებებიც. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ფინანსთა სამინის-



ელ- 0090561947

21/11/2013 | 14:49:15

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ... 0.75 ლ. (2007) | 4860761021005 | ცალი | 5.0000 | 130.0000 | 650.0000 |



2013წ

2 0 2 2 0 0 7 7 8 | 2 0 4 8 6 2 0 7 8

2 53-07-97

GE72TB1100000037467769 | TBCBGE22

| № | | |
|---|---|---|
| 1 | | 3677.1 |
| 2 | | 850.2 |
| 3 | | |
| 4 | | |
| | | 4527.3 |

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარილში ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოჩნდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სუფრის მარილში ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოაჩინა. სააგენტოს ცნობით, 2013 წლის დეკემბრის ბოლოს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რამდენიმე სუპერმარკეტიდან სუფრის მარილის სინჯი აიღო და შესამოწმებლად სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიას გადაუგზავნა.

„კვლევის მიზანი იყო მარილში იოდის, ტოქსიკური ელემენტებისა და რადიონუკლიდების განსაზღვრა. ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, რომ ერთ-ერთ ნიმუშში, კერძოდ, შპს „ეკო ჯორჯიას“ მიერ დაფასოებულ ირანული წარმოშობის მარილში ტყვიის შემცველობა აღემატებოდა დასაშვებ ნორმას 2.0 მგ/კგ-ს და 3.2 მგ/კგ-ს შეადგენდა (გოსტ 30178-96)“, – აცხადებენ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობით, სუფრისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ მარილში უვნებლობის მაჩვენებლებიდან ნორმირდება შემდეგი ტოქსიკური ელემენტები: ტყვია – არაუმეტეს 2,0 მგ/კგ; დარიშხანი – არაუმეტეს 1,0 მგ/კგ; კადმიუმი – არაუმეტეს 0,1 მგ/კგ; ვერცხლისწყალი – არაუმეტეს 0,01 მგ/კგ; სპილენძი – არაუმეტეს 2,0 მგ/კგ; თუთია – არაუმეტეს 10,0 მგ/კგ. რადიონუკლიდები: ცეზიუმ – 137-300 ბკ/კგ; სტრონციუმ – 90-100 ბკ/კგ.

სააგენტომ ქსელიდან გამოითხოვა მარილის აღნიშნული პარტია, რომელიც, კანონის შესაბამისად, განადგურდება. (ინტერპრესნიუსი)

## რამდენიმე მედიკამენტი ურეცეპტოდ არ გაიყიდება



24 იანვრიდან რამდენიმე მედიკამენტი აფთიაქებში რეცეპტის წარდგენის შემთხვევაში გაიყიდება. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველ სამკურნალო საშუალებების ნუსხას“ დაემატა რამდენიმე ფარმაცევტული საშუალება, კერძოდ, „ბაკლოფენი“, „გაბაპენტინი“, „დექსტრომეტორფანის“ შემცველი კომბინირებული პრეპარატები (გარდასიროფებისა), „ზოპიკლონი“, „ზალეპლონი“ და „ტროპიკამიდი“. ისინი ფარმაცევტული პროდუქტების I ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.

ჯანდაცვის მინისტრის 2004 წლის 22 იანვრის №22/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად ფარმაცევტული პროდუქტის რეკლასიფიკაცია მოხდა. არსებული ცვლილების საფუძველზე, ზემოაღნიშნული მედიკამენტები გადატანილია I ჯგუფში და უფრო მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. როგორც სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული ცვლილების მიზეზს წარმოადგენდა უკანასკნელ პერიოდში ჩამოთვლილი ნივთიერებების შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის არამიზნობრივი გამოყენება არათერაპიული დოზებით, ნარკოტიკული თრობის მისაღწევად. მათი უკანონო ბრუნვა და ბოროტად მოხმარება კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. (ინტერპრესნიუსი)

## ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოსა და ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავა.

შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი გ., წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი ა., წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი ტ., წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯონი ც. და გიორგი ტ. ქურდული სამყაროს წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა გიორგი გ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით, გიორგი ა-ს პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 6 საბრძოლო ვაზნით, ხოლო გიორგი ტ-ს პირადი ჩხრეკისას „გეკოს“ ტიპის იარაღის 34 საბრძოლო ვაზნა. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. (ინტერპრესნიუსი)



# რამდენს ფლანგავს ხადური კომფორტსა და დროსტარებაში?

*მესამე გვერდიდან*

ტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური. უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2013 წელს დადებული ხელშეკრულებებია და არა მთლიანად ფინანსთა სამინისტროს სისტემის.

**— გარდა ავტომობილებისა და რესტორნებისა, სხვა რა არამიზნობრივი ხარჯები აღმოაჩინეთ?**

– ავეჯი, სასმელები, საჩუქრები... სხვა გამოსაკვლევია კიდევ. ამას ინფორმაციის გამოთხოვა უნდა და მათი არგუმენტის მოსმენა. აი, დავუშვათ, კულტურის სამინისტრომ, 80 ბოთლი 117-ლარიანი სარაჯიშვილის 750-გრამიანი „ბრენდები“ იყიდა და საინტერესოა, ვისთვის? „ცხენი“ – 2 ცალი, ერთეულის ფასი 720 ლარი; მინანქრის კომპოზიცია „ზამთარი“ – 1 ცალი. ფასი 1500 ლარი; მინანქრის კომპოზიცია „ირემი“ – 1 ცალი. ფასი 1000 ლარი. მინანქრის ხელოვნების გალერეიდან შეიძინეს ეს ნივთები სასაჩუქრედ. მე მაქვს მხოლოდ ყიდვის დოკუმენტი და რა დანიშნულებისთვის იყო განკუთვნილი, ვის უსახსოვრა სასაჩუქრედ. კიდევ ბევრია ამის მსგავსი, ერთი ბოთლი 250 ლარად და ა.შ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, 2012 წლის 16 ნოემბერს, ბატონი ნოდარ ხადურის მინისტრად დანიშვნიდან 23-ე დღეს, შეძენილია შემდეგი ნივთები: მინანქრის კომპოზიცია მინისტრმა ასეთი ძვირფასი საჩუქრები, ეს გასარკვევია. 3 940 ლარი მხოლოდ ამ მინანქრის ნივთებში აქვს გადახდილი. ასევე, შეძენილი აქვს 117-ლარიანი სარაჯიშვილის ბრენდული სასმისი, 5 ათასი ბოთლი „ბრენდი“. 130 ლარი აქვს გადახდილი თითო ბოთლ საფერავში, რომელიც, ასევე, 5000 ბოთლი აქვს შეძენილი და გადათვალეთ, რა რაოდენობის თანხა იქნება გადახდილი. ღვინო შეუკვეთეს შპს „თელავის მარანში“ 5 000 ბოთლის ოდენობით, რომლის საერთო ჯამური თანხა 650 000 ლარი იყო. ასევე შეძენილი იქნა 100 ცალი 105-ლარიანი საკანცელარიო სასაჩუქრე ნაკრები. შეძენილია ასევე სუვენირი „ვეფხი და მოყმე“ 454-ლარიანი.

**— კანონთან წინააღმდეგობაში არ მოდიან, ამხელა ხარჯებს რომ წევენ სამინისტროში?**

– კანონში აკრძალვა არ არის, უბრალოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (ყოფილმა კონტროლის პალატამ) უნდა შეისწავლოს და დასკვნა დაწეროს, რომ თანხები არარაციონალურად იხარჯება. არარაციონალურობა ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა, კანონით არ არის აკრძალული, მაგრამ რა საჭიროა, ზედმეტი ხარჯია.

ასე მიშასაც არ ჰქონდა კანონით შეზღუდვა, იმიტომ, რომ ბევრი უკანონო მოქმედება სამართალს შეუსაბამეს, მაგრამ სწორედ ამის გამო ჰქონდა ხალხს პრეტენზია. ასე შეიძლება ადამიანის მოკვლაც კი დააკანონო და შემდეგ თქვა, კანონი არ დამირღვევიაო, როდესაც ადამიანს მოკლავ, ასე არ ხდება. სახელმწიფო ფინანსებში მით უმეტეს სხვა სტანდარტებია. მე ვაპირებ ღარიბაშვილის სახელზე კანცელარიაში წერილის წარდგენას ამის თაობაზე. უბრალოდ, ჯერ თვითონ მატრაკვეცობენ, ჩვენ ავკრძალავთო და მათ მიერ მიღებულ მთავრობის დადგენილებას ველოდები. შემდეგ მივიღებ შესაბამის ზომებს, რასაც კანონიერად შევძლებ.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

# EBRD-ის მიერ დაფინანსებული 77-მილიონიანი პროექტის გაჭიანურების მიზეზი

## რატომ არ იწყება ჯვარი-ხორგას 500 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა

**„ამ ეტაპზე ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის ჯვარი-ხორგა, გეგმის მიხედვით ხორციელდება“ — საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ ამ განცხადებით არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელს ლევან კალანდაძეს უპასუხა.**

ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძეს მიაჩნია, რომ ჯვარი-ხორგას 500 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ხელოვნურად შეფერხება სახელმწიფო უწყებების არაკოორდინებული, არაეფექტური საქმიანობის შედეგია.

„აღნიშნული პროექტი დღეს ხელოვნურად შეჩერებულია რიგი სახელმწიფო უწყებების ყოვლად უპასუხისმგებლო და საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო. მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ვერ განახორციელა დროული და ეფექტური კოორდინაცია სხვა სახელმწიფო უწყებებსა და სამინისტროებთან. დღეს, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ უკვე გამოყოფილია ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო 77 მილიონი ევრო, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შეუთანხმებლობა, ხდება ამ პროექტის შეჩერებისა და დაბლოკვის საფუძველი“, – განაცხადა ლევან კალანდაძემ პრესკონფერენციაზე.

ექსპერტის თქმით, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ დღემდე ვერ განახორციელა დროული და ეფექტური კოორდინაცია სხვა სახელმწიფო უწყებებსა და სამინისტროებთან. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ უკვე გამოყოფილია ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო 77 მილიონი ევრო, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შეუთანხმებლობა კი ამ პროექტის შეჩერება-დაბლოკვის საფუძველი ხდება.

პროექტის შეფერხებას უწყებები არ ადასტურებენ, თუმცა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე სატენდერო წინადადებების მიღება კარგა ხნის წინ – 22 ივლისს დასრულდა, გამარჯვებული კომპანია კი ამ დრომდე არ გამოვლენილა.

„ხორგას მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადებულია, მაგრამ ჯერ მშენებლობა არ დაწყებულა. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ჯერ ცხადდება ტენდერი, შემდეგ ვლინდება გამარჯვებული, მერე იწყება მოკვლევა, მერე ხდება მშენებლობის ნებართვის აღება და ასე შემდეგ. აბსოლუტურად გეგმის მიხედვით მიდის საქმე, არანაირი შეფერხება ამ ეტაპისთვის არ არის, ამიტომ ყველაფერი დედლაინებში ჯდება, ყველა პროექტში მივდივართ დედლაინების მიხედვით“, – ამბობს სახელმწიფო ელექტროსისტემის პიარის ხელმძღვანელი ნინო ჯერანაშვილი.



იურისტ ლევან ალაფიშვილის თქმით, კანონი აწესებს სატენდერო დოკუმენტაციის წარდგენის ვადას, მაგრამ გამარჯვებულის გამოვლენა წმინდად სატენდერო კომისიის პრეროგატივაა.

„დაზუსტებისა და მოლაპარაკების პროცედურებზე კანონი ცალსახა ვადებს არ აწესებს, მაგრამ უწყებამ განმარტება უნდა გააკეთოს, რას აკეთებენ ამ ხნის განმავლობაში. რისი დაზუსტება ხდება, ვისთან ხდება დაზუსტება და ასე შემდეგ, ეს ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ პირს შეუძლია, გამოითხოვოს“.

ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე 2013 წლის 2 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში განცხადების წარდგენის ვადამ 8 ივლისიდან 22 ივლისამდე გადაიწია. ელექტროსისტემაში ამბობენ, რომ ამით ტენდერში მონაწილეობის შანსი მეტ კომპანიას მიეცა. თუმცა, საინტერესოა ერთი დეტალი: უწყების ვებგვერდზე განთავსებული განცხადება ვადის გადაწევის შესახებ 16 სექტემბრით თარიღდება. ამ დროს ყველა პროცესი უკვე 2 თვის დასრულებული იყო და შესაბამისად, კომპანიები გადაწეული ვადით ვეღარ ისარგებლებდნენ.

სახელმწიფო ელექტროსისტემის პრესსამსახურის ხელმძღვანელის თავდაპირველი განმარტებით, ეს მუშა პროცესია და არანაირი დარღვევა არ არის.

„ეგ არ არის არაფერი დარღვევა, წესით, ტენდერის გადაწევა ხდება ხოლმე იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი კომპანია მოიზიდო და მეტი არჩევანი გქონდეს. 16 სექტემბერს გამოქვეყნდა წინასწარი ინფორმაცია, რომ სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადამ 22 ივლისამდე გადაიწია. თქვენ ისე მეკითხებით, თითქოს რაღაცას ეძებთ, რომ მოგვედავოთ. დროულად რომ არ ყოფილიყო გამოცხადებული ეს ინფორმაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებია ამ ტენდერში ჩასმული და ასე მარტივად და ჩუმად არ ხდება, ყველა განცხადებასთან დაკავშირებით ყველა დონორი საქმის კურსშია“.

ამ განცხადების შემდეგ სახელმწიფო ელექტროსისტემის პრესსამსახური კიდევ ერთხელ დაგვიკავშირდა, ცოტა ხნის წინ ვებგვერდი განვაახლეთ და განცხადების არასწორი თარიღიც ამან გამოიწვიაო.

„ახლა მივხვდით, რა პრობლემაც იყო, ჩვენ შევცვალეთ საიტი და გადმოტანილი თარიღები დაადო ავტომატურად. რეალურად ეს ინფორმაცია გაზეთ „24 საათში“ 14 მაისს არის გამოქვეყნებული და დაგზავნილია ყველგან და მეორე გადაწევაც, 2 აპრილის არის 8 ივლისის, ეს არის სუფთა საიტის პრობლემა. ჩვენ შენახული გვაქვს „24 საათის“ ნომრები, სადაც გამოქვეყნებული გვაქვს ეს განცხადებები დროულად“.

ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერში გამარჯვებული თებერვალში გამოვლინდება.

ტენდერში ათმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, მათგან ადგილობრივი კომპანია მხოლოდ ერთია.

როგორც ჩანს, სატენდერო პირობები მინიმუმ 18.750.000 აშშ დოლარის საშუალო წლიური ბრუნვა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში და, სულ მცირე, 10-წლიანი საერთო გამოცდილება სამშენებლო საქმიანობაში, ბევრმა ადგილობრივმა კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა უნდა გაკეთდეს, რომ „ნაციონალების“ ყაყანი დამთავრდეს?

**როგორც ჩანს, 2014 წელს ჩვენს ქვეყანაში კომპრომატების დიდი ომი იქნება... ყოველ შემთხვევაში, ჯერ ძველი წელი ხეირიანად არც კი გაგვიცილებია და „ნაციონალები“ უკვე გაეხვივნენ არაერთ სკანდალში. ბოლო სკანდალი ბაჩო ახალაიასა და მის ოჯახს უკავშირდება — აღმოჩნდა, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ მოწმეების გადაბირება-დაშინება-დაშანტაჟებაზე. რა უნდა დაუპირისპიროს ამ ყველაფერს კოალიციამ, რომელსაც თავად შიგნით აქვს დაპირისპირება და სხვა სახის პრობლემები?**

**„ალიას“ უმრავლესობის წევრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, მანანა კობახიძე ესაუბრება:**

**— ქალბატონო მანანა, ალბათ, მეტყვით, კომპრომატების ომს კანონის ძალით უნდა ვებრძოლოთო, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა იდეოლოგიაც.**

— ჩვენ საზოგადოებას უნდა ვუთხრათ სიმართლე, ხელისუფლება ხალხს არ უნდა ატყუებდეს, პოლიტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე და რა თქმა უნდა, სამართლიანობაზე დამკვიდრებული. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ნებისმიერ ნაბიჯს, რომელსაც გადადგამს ე.წ. ოპოზიცია, თუ უკავშირდება მათ მიერვე შეთითხნილ კომპრომატებს, ჩვენი მხრიდან საჭიროა გარკვეული იდეოლოგია. ყველა სიბინძურეს, რასაც „ნაციონალები“ გამოფენენ, უნდა გაეცეს ადეკვატური პასუხი, რათა მათ არ მიეცეთ შესაძლებლობა, იყვირონ, არიქა, ჩვენ პოლიტიკური პარტიები გახლავართო. ჩვენ გვმართებს კანონის დაცვა ძალიან მკაცრ ფორმებში, „ნაციონალებს“ მაინც ხელთ აქვთ ბერკეტი, როგორც კი ხელისუფლება კანონს დაარღვევს, რაც არ უნდა კეთილშობილი მიზნებით იყოს გამოწვეული, ცხადია, ისევ მათ წისქვილზე ასხამს წყალს. ახლა მაინც ბეწვის ხიდზე გავდივართ და მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ ხელისუფლების ყოფილ წარმომადგენლებთან, ანუ კრიმინალებთან ბრძოლა იყოს ეფექტური. რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი კრიმინალებთან ასოცირდებიან.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობა გამგებლობაში უნდა გადაეცეს ქუთაისს. რა ხდება, თბილისში დაბრუნებას აღარ აპირებთ?**

— ის, რომ პარლამენტს ჰქონდეს ნორმალური მუშაობის საშუალება და კოორდინაციაში ვიყოთ მთავრობასთან, საჭიროა თბილისში გადმოსვლა. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში, ჩვენ ვერც კონსტიტუციას დავარღვევთ და ვერც კანონს, შესაბამისი ცვლილებების გარეშე ვერ წარმომიდგენია, პარლამენტი დაბრუნდეს თბილისში. უმრავლესობის ფორმატში ჩვენ ამის შესახებ რაიმე გადაწყვეტილება არ მიგვიღია, ტყემალაძეს უფლება აქვს, თავის პოზიცია დააფიქსიროს, მა



გრამ რაკი ამ საკითხზე არ გვიმსჯელია, მიჭირს კომენტარის გაკეთება.

**— ამბობენ, თბილისში გადმოსვლის წინააღმდეგნი არიან „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“.**

— „რესპუბლიკელები“ არ არიან წინააღმდეგნი, ჩვენ მართლა რთულ რეჟიმში გვიწევს მუშაობა, არის შემთხვევები, როცა დილით მივდივარ და საღამოს ჩამოვდივარ. ეს იმხელა დროსა და ენერგიას გვართმევს, იმდენი რესურსი იხარჯება, როგორ შეიძლება „რესპუბლიკელებს“ ამასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებული აზრი ჰქონდეთ? თვითონ „ნაციონალები“ გამორბიან ხოლმე ქუთაისიდან და ძალიანაც არ სიამოვნებთ ამდენი მოგზაურობა, თუმცა ისინი არ უტყდებიან საზოგადოებას და მაინც ბოლომდე დაჟინებით დგანან სააკაშვილის პოზიციაზე. ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის განვითარების წინააღმდეგი არავინ არ არის, მაგრამ პარლამენტი ამ საქმეს არ შველის. ეს თავის დროზე სააკაშვილმა მოგვახვია თავს და იყო დიდი ტყუილი.

**— ქალბატონო მანანა, შეიძლება პარლამენტის საკითხი არ არის დღეს უმნიშვნელოვანესი, მაგრამ საზოგადოებაში ჩნდება ასეთი სახის შეკითხვა, — თქვენს კოალიციას პარლამენტი ვერ გადმოგიტანიათ თბილისში და სხვა რა უნდა გააკეთოთ? საზოგადოება მიანიშნებს კოალიციის უნიათობაზე, აქ არის მეორე საკითხიც, „ნაციონალებს“ ეძლევათ ქილიკის საფუძველი. აგერ მიდევს ირმა ნადირაშვილის კომენტარი, სადაც ამბობს, რომ უმრავლესობას კონსტიტუციის შეცვლა არ შეუძლია და ის მზადაა, საზოგადოებას თავზე დაახიოსო.**

— საზოგადოებას თავზე კონსტიტუციას ვინც ახევდა, ყველამ კარგად ვიცით. სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ კონსტიტუციაში ყველა ცვლილება საკუთარ თავზე მოირგეს. დღეს რომ კონსტიტუცია არ არის მთლად გამართული, ამიტომაც შევქმენით კომისია, რომელიც საზოგადოებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებს ყველაფერს. უხერხულია, როცა ირმა ნადირაშვილი ასეთ განცხადებებს აკეთებს. რაც შეეხება ჩვენს უნიათობას, მოდით, ვთქვათ სიმართლე, ხელების გადაგრეხის პრინციპით არ შეიძლება მიაღწიო რამეს. ჩვენ არჩევნების შედეგად არ მიგვიღია საკონსტიტუციო უმრავლესობა და ბუნებრივია, რასაც კანონის ძალით ვერ აკეთებ, ეს გააკეთო ხელების გადაგრეხით. ამას აკეთებდა „ნაცმოძრაობა“, სააკაშვილს უნდოდა პარლამენტი ქუთაისში – გადაიტანა, მას არც საპარლამენტო უმცირესობისთვის უკითხავს რამე და არც უმრავლესობისთვის. როგორც უნდოდათ, ისე ცხოვრობდნენ და ქვეყანა რა მდგომარეობამდეც მიიყვანეს,

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

## მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო



გამოძიება მოწმე ჯოლოხავაზე განხორციელებული ზემოქმედების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით მიმდინარეობს.

„გამოძიების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა ბოლო დღეებში სხვადასხვა სატელევიზიო საშუალებებში გასული ინფორმაცია, ყოფილი პატიმრის გოდერძი ჯოლოხავას მიმართ სხვადასხვა პირების მხრიდან ცრუ ჩვენების მისაცემად, მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე. ამჟამად საქმეზე ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. მთავარი პროკურატურის მიერ მოწმეებზე ზეწოლის ნებისმიერი ფაქტი მკაცრად იქნება აღკვეთილი“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში. (პირველი)

## მთავრობა უკეთეს მდგომარეობაშიაო

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა კომენტარი გააკეთა ვანო მერაბიშვილის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე და ყოფილ პრემიერთან დაკავშირებით გენინსპექციის დასკვნის შესახებ.

„ჯერ კიდევ დეკემბერში გამოვხატეთ წუხილი კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით. შემიძლია აღვნიშნო, რომ მთავრობა დღეს ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია იმ მხრივ, რომ უზრუნველყოს სასამართლო და სამართლებრივი პროცედურები, რაშიც ესოდენ დაინტერესებული არიან როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ისე ქართული საზოგადოება“, – აღნიშნა ელჩმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერიის ინიციატივა 17 იანვარს ძალას კარგავს



თბილისის მერიის ინიციატივით მიღებული კანონი, რომელიც გამარტივებული პროცედურებით ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებასა და ჯარიმის გადახდის გარეშე, მათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას გულისხმობს, იურიდიულ ძალას 2014 წლის 17 იანვარს კარგავს.

მერის მოვალეობის შემსრულებელმა, სევდია უგრეხელიძემ ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან ერთად, ბოლო 6 თვის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობის სტატისტიკაზე გაამახვილა ყურადღება. გამარტივებული წესით მოქმედება დედაქალაქის მთავრობამ 2013 წლის ივლისში შემოიღო. ექვსი თვის განმავლობაში 2 000 განაცხადიდან თბილისის მერიამ 1 100 შენობის მესაკუთრეს ექსპლუატაციაში მიღების აქტი გადასცა.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა უმეტესობამ კი, რომელთა ობიექტები 90-იანი წლებიდან ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებდა, ყოველგვარი ფინანსური ხარჯის გარეშე დაიკანონა. (ინტერპრესნიუსი)

## ნადარეიშვილი და ონიანი დებატებს ითხოვენ



ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი და მეუღლე ანი ნადარეიშვილი ყოფილ პატიმარ გოდერძი ჯოლოხავასთან პირდაპირ ეთერში დებატებს ითხოვენ. ბაჩო ახალაიას მეუღლის განცხადებით:

„ჩვენ ვითხოვთ, ნებისმიერი ტელევიზიის ღია ეთერში, გარდა „ობიექტივისა“, ბატონი ჯოლოხავა დაგვიჯდეს ღია დებატებში. ჩვენ მას რამდენიმე კითხვას დავუსვამთ და საზოგადოება დარწმუნდება ჩვენს სიმართლეში. ასევე ვითხოვთ, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით“, – განაცხადა ანი ნადარეიშვილმა.

ბაჩო ახალაიას ადვოკატის გოგა ონიანის განცხადებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება და რამდენიმე დეტალი გაირკვეს.

„უნდა გაირკვეს, რა უნდოდა ბატონ ჯოლოხავას ჩვენების მიცემამდე ქალბატონ თეა წულუკიანის ოთახში. შემდგომ რატომ გადავიდნენ სამივე ერთად კბილაშვილის ოთახში და რატომ მოხდა მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენების მიცემა. გარდა ამისა, გასარკვევია, ვისი მხრიდან მიმდინარეობდა ზეწოლა. გამოძიება უნდა იყოს ობიექტური, ყოველმხრივი და დაზუსტებით უნდა გამოიძიონ თუნდაც ჩვენი მხრიდან ხომ არ იყო გადაცდომა ან ზეწოლა, მაგრამ ასევე უნდა გამოიძიონ თუ ჩვენი მხრიდან არ იყო, ვისი მხრიდან იყო ზეწოლა ჯოლოხავას მიმართ“, – განაცხადა გოგა ონიანმა.

გოდერძი ჯოლოხავამ ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გაავრცელა. პირველ განცხადებაში ის ზეწოლაში თეა წულუკიანს ადანაშაულებდა, ხოლო მეორეში – ბაჩო ახალაიას ახლობლებს. (ინტერპრესნიუსი)

## პატრიარქმა კიდევ ერთი შეხვედრა გამართა



საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყების მსურველებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის მონაწილეები პატრიარქს იდეებს აცნობდნენ და თავიანთ პრობლემებზე საუბრობდნენ. კათოლიკოს-პატრიარქმა მათ მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ რამდენიმე მაგალითი მოუყვა, რაც მას საზღვარგარეთ ყოფნის დროს სმენია, კერძოდ, თუ როგორ უნდა დაიწყონ წიწილების მოშენება და მცირე მეფრინველეობის საწარმოების გაკეთება. პატრიარქმა ასევე ისაუბრა, რომ ადამიანმა იმედი არასდროს არ უნდა დაკარგოს და ხელისუფლებას არ უნდა დაელოდოს.

„ჩვენ იმედი დავკარგეთ, რომ რაიმე გამოსწორდება, ყველაფერი გამოსწორდება, მაგრამ ამასთან ერთად ადამიანმა თუ ხალხმა არ იფიქრა თვითონ ამ გამოსწორებაზე, არაფერი გამოვა. ხალხი ელოდება მთავრობას, როდის მოგვცემს ხელფასებს, როდის შეგვიქმნის პირობებს. მე მინდა გაგახსენოთ კენედის სიტყვა, პრეზიდენტად რომ აირჩიეს: „ჩვენ იმას კი ნუ ველოდებით, ამერიკა რას მოგვცემს ჩვენ, არამედ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ყოველი ჩვენგანი რას გააკეთებს ამერიკისთვისო". აი, ეს შესანიშნავი მაგალითია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რას გავაკეთებთ ჩვენი სამშობლოსთვის", – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. (ინტერპრესნიუსი)



# რა უნდა გაკეთდეს, რომ „ნაციონალების" ყაყანი დამთავრდეს?



*მეხუთე გვერდიდან*

ვნახეთ.

უნიათობა რას ნიშნავს? ღმერთმა ნუ ქნას, ისეთი თვისებები გამოვავლინოთ, როგორიც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას", ვგულისხმობ ძალმომრეობას, დაშანტაჟებასა და ხელების გადაგრეხას. კანონის დარღვევის ხარჯზე არც პარლამენტის გადმოტანა მინდა თბილისში და არც სხვა რამე. ეს არის კანონის უზენაესობა, თორემ ხელების გადაგრეხის მეთოდით მიშამ უკვე იმუშავა. უბრძანებდა ვიღაცას, ყველანი ციხეშიო და მეორე დღეს, უამრავ ადამიანს იჭერდნენ. იტყოდა, ჩახოცეთ ხალხი, არავინ დაინდოთო და ამის შემდეგ სპეცოპერაცია სპეცოპერაციაზე ტარდებოდა. ჩვენ დღეს ვართ მოწმენი იმისა, რომ ხელისუფლება მოსახლეობის აზრს ითვალისწინებს. თუნდაც ის, რომ ფარცხალაძე გადადგა, არაფერს ნიშნავს? თავის დროზე ვანო მერაბიშვილი რომ გადამდგარიყო გირგვლიანის საკითხთან დაკავშირებით, ეს არ იქნებოდა მაშინდელი ხელისუფლების გამარჯვება?!. რა თქმა უნდა, მერაბიშვილს არ ვადარებ ფარცხალაძეს, ნამდვილად ცუდი შედარება გამომივიდა, არც გირგვლიანის საქმეს ვადარებ იმას, რაც ფარცხალაძის ბიოგრაფიაში აღმოჩნდა, მე უბრალოდ, ვაფიქსირებ ფაქტს. ვინმეს ამ ქვეყანაში ახსოვს, რომ სააკაშვილის რომელიმე მინისტრი გადამდგარიყოს რაიმე სკანდალთან დაკავშირებით?.. ციხეებში ხალხს ხოცავდნენ, უამრავ ადამიანს ფსიქიკა შეურყიეს, მაგრამ პასუხისმგებლობა არავის გაუზიარებია. ძალიან სერიოზული განსხვავებაა ჩვენსა და წინა ხელისუფლებას შორის და მე მგონი, ამას ხედავს საზოგადოება.

**— უხეშად ვიტყვი, კოალიციიდან „ნაციონალურ მოძრაობას" ისეთ „სატოპკეებს" უწევენ ხშირად, გვიკვირს. ახლა ერთ ფაქტს გეტყვით და არ გეგონოთ, რომ თანაგუნდელებზე კომენტარების გაკეთებისკენ გიბიძგებთ, მე პირადად მეშლება ნერვები, როცა კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი გამოდის და ამბობს, — სააკაშვილს ვერ დავიჭერთ, რადგან მას უცხოეთში უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე მთლიანად საქართველოსო. იცით, ეს ვინ თქვა?**

– არ ვიცი, ვინ თქვა, იქნებ მითხრა?

**— ეს თქვა ლევან ბერძენიშვილმა...**

– მე არ მომისმინია მისი ნათქვამი...

**— ეს 15 იანვარს გამოქვეყნდა პრესაში... შე კაი ადამიანო, სამართლიანობის აღდგენის მიზნით აგირჩიეთ, თანაც ბიძინა ივანიშვილის ხათრით და შენ დღეგამოშვებით ნერვები უნდა გვიშალო?!.**

– სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ 9 წლის განმავლობაში მხოლოდ პიარი აეგორებინა. თუნდაც ის, რომ სააკაშვილი ამერიკაში რომელიღაც სასწავლებელში დღეს ლექციებს კითხულობს და სტუდენტებს რაღაცას ასწავლის, ჩემთვის ეს არის სრულიად აუხსნელი. რა უნდა ასწავლოს მან ამერიკაში სტუდენტებს? დემოკრატიაზე უნდა ესაუბროს თუ ადამიანის უფლებებზე? მარტო ის, რომ ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, კმარა იმისთვის, რომ მისთვის ლექციები მიეცათ? ჩემი შვილიც სტუდენტია და ნამდვილად არ მინდა, სააკაშვილი უკითხავდეს ლექციებს. როგორც ჩანს, ამ კაცმა მოახერხა ისეთი იმიჯის შექმნა, რომ ევროპელებსაც და ამერიკელებსაც სჯერათ მისი. ბოლოს და ბოლოს, მას „დემოკრატიის შუქურა" ერქვა, ჩვენ სულ ვყვიროდით, რომ საქართველოში ირღვეოდა ადამიანთა უფლებები, მაგრამ რატომღაც სულ უმღეროდნენ სააკაშვილს. თუ ლევანმა ეს თქვა, ალბათ, იმიტომ, რომ, ამ მხრივ, პრობლემა მართლაც არსებობს. ის გათვითცნობიერებულია და დეტალურად იცის, რა ხდება სააკაშვილის გარშემო.

**— ის ამბობს, სააკაშვილს იმიტომ ვერ დავიჭერთ, რომ მას საქართველოზე მაღალი რეიტინგი აქვსო. ეს ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელია. თუ სააკაშვილი დამნაშავეა, რაში გვაინტერესებს, რას ფიქრობენ მის შესახებ უცხოეთში?**

– რა თქმა უნდა... შეიძლება ლევანი ამაში იმას გულისხმობდა, რომ შეიძლება ამით დაზარალდეს ჩვენი ქვეყნის ინტერესები. თუ სააკაშვილის დაჭერა ჩემს ქვეყანას იმიჯს შეულახავს, შეიძლება არც ღირდეს ამ საქმის წამოწყება. ბერძენიშვილის აზრით, ალბათ, სააკაშვილი არ ღირს იმად, რომ ქვეყანა დაზარალდეს, მაგრამ აქ არის მეორე საკითხიც, თუ ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი, ამას სჭირდება მტკიცებულებები, ფაქტები და დოკუმენტები. არა მგონია, დემოკრატია იმას ნიშნავდეს, რომ დამნაშავე ადამიანს ხელი დავაფაროთ. თუ ის უკანონო იარაღით ვაჭრობასთან კავშირშია და კორუფციაშია გარეული და ადამიანების განადგურებასთან არის კავშირში, მხოლოდ პრეზიდენტობის გამო ხელს ვერ დავაფარებთ. ეს არც ერთი ქვეყნის სამართალში არ წერია.

**— პირადად მე ვერავინ დამაჯერებს, რომ კეზერაშვილი იარაღით სააკაშვილის გარეშე ვაჭრობდა.**

– კი ბატონო, თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ამ თემაზე სერიოზული სტატია, მე წავიკითხე, ძალიან აქტუალურია და ასევე, სკანდალური. რა თქმა უნდა, ეს საკითხი უნდა შეისწავლოს გამოძიებამ, ეს რომ ორგანიზებული დანაშაულია და სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და აქ მოქმედებდა ორგანიზებული მაფია. ცხადია, აქედან მიღებული შემოსავალი არ მიდის ერთი ადამიანის ჯიბეში, ეს არის „შავი ფული" და ვერ დავიჯერებ, რომ ამით ისარგებლა მხოლოდ კეზერაშვილმა. როგორ გახდა კეზერაშვილი მილიონერი 2008 წლის შემდეგ? ეს არის ძალიან დიდი კითხვის ნიშანი. ძალიან კარგია, რომ ამაზე წერთ და ყველაფერი სააშკარაოზე გამოგაქვთ. კარგია, რომ საფრანგეთი ძალიან აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე, დარწმუნებული ვარ, საფრანგეთისა და საქართველოს თანამშრომლობა აქტიურად წარიმართება, შეიძლება უახლოეს ხანში ამერიკელებიც ჩაერთონ ამ საქმეში, სხვა ქვეყნების ძალოვნებიც და ჩვენ მივიღებთ ნათელ სურათს, თუ რასთან გვაქვს საქმე. ვიმეორებ, მეც შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ ფულს მხოლოდ კეზერაშვილი იდებდა ჯიბეში. ეს იყო, ალბათ, ის „ობშიაკი", რომელზეც იდგა სააკაშვილის რეჟიმი. სწორად გამიგეთ, მე მაინც პოლიტიკოსი ვარ და ვაკეთებ პოლიტიკურ განცხადებებს. ადამიანს რომ ბრალი წაეყენოს და მართლმსაჯულების სკამზე მოხვდეს, საჭიროა მყარი მტკიცებულებები. აი, ეს მტკიცებულებები გვჭირდება ჩვენ, რათა ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და „ნაციონალების" ყაყანი დამთავრდეს.

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიზნესზე ზეწოლა აღარ არსებობს



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას კოჰაბიტაციის რეჟიმში მოუწია მუშაობა, რისი გამოცდილებაც ქვეყანას აქამდე არ გააჩნდა.

„განვლილი წელი ურთულესი და ამავდროულად უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ყოფილი მმართველი გუნდის მიერ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართულმა მოქმედებებმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ეკონომიკაზეც იქონია უარყოფითი გავლენა. ჩვენ გვესმის, რომ გასული წელი ასევე რთული იყო ბიზნესისთვისაც. ხშირად ასეთ გარემოში ბიზნესისთვის უფრო ადვილია მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, ვიდრე აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა. თუმცა, მუდმივი წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, და უნდა აღვნიშნო ის მიღწევები, რომლებიც ყველა თქვენგანმა კარგად იცის. ჩვენ მივაღწიეთ უმთავრეს მიზანს – დავამკვიდრეთ კანონის უზენაესობა. მოგეხსენებათ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კანონის მიმართ წინა ხელისუფლებას, და ეს მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ბიზნესის განვითარებისთვის. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში აღარ არსებობს პოლიტიკური ზეწოლა ბიზნესზე და საკუთრების უფლება საქართველოში დაცულია ისე, როგორც არასდროს", – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჩვენ გვესმის, რომ საჭიროა მომდევნო ნაბიჯების გადადგმა იმისთვის, რომ შევქმნათ ხანგრძლივი და სტაბილური ეკონომიკური განვითარების საფუძვლები, ობიექტურად შევაფასოთ ეკონომიკის მდგომარეობა, განვსაზღვროთ განვითარების სტრატეგიული და პერსპექტიული მიმართულებები და გავითვალისწინოთ ის რისკები, რომელთა წინაშეც დგას დღეს საქართველოს ეკონომიკა. ჩვენს ხელისუფლებას დახვდა პოლიტიკურ ნებას სრულად დაქვემდებარებული სასამართლო სისტემა, პროკურატურა, რომელიც პირდაპირ ერეოდა ბიზნესში და, ფაქტობრივად, მართავდა ქვეყნის ეკონომიკას, სრულად პოლიტიზებული პოლიცია და, ამის შედეგად, საკუთრების დაუცველობითა და მონოპოლიებით დაავადებული ეკონომიკური ინსტიტუტები. სამწუხაროდ, ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო ეკონომიკა, რომლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 50%-ს აღემატებოდა, ხოლო სამომხმარებლო კალათისა და პირველადი მოხმარების საქონლის 80% იმპორტზეა დამოკიდებული". – აღნიშნა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

## საავტომობილო მოძრაობაზე შეზღუდვები მოიხსნა



საავტომობილო მოძრაობაზე შეზღუდვები ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზაზეც მოიხსნა. გზების დეპარტამენტის ცნობით, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა თავისუფალია.

დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, აკრძალვა ამ დრომდე მოქმედებს ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ 36-კმ 56 მონაკვეთზე (ნაქერალას უღელტეხილი), სადაც აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)



ტრისტან წითელაშვილი

# სააკაშვილის საიდუმლო წერილი

## როგორ ცდილობს ექსპრეზიდენტი კეზერაშვილის დახსნას

დავით კეზერაშვილის ირგვლივ სკანდალი გრძელდება! „ალიას“ ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი, როგორ ეხვეწება მიხეილ სააკაშვილი საფრანგეთის მხარეს, დავით კეზერაშვილის გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლებას, სააკაშვილის ტექსტი დათარიღებული და ხელმოწერილია 2013 წლის 21 ნოემბრით, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე. სააკაშვილის სამარცხვინო ტექსტში ვკითხულობთ, რამდენად მნიშვნელოვანია დავით კეზერაშვილის განთავისუფლება, რადგან ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მან უდიდესი როლი ითამაშა „ვარდების რევოლუციაში“, დაამარცხა კორუფცია, უდიდესი წვლილი მიუძღვის 2008 წლის ომში. სააკაშვილი საფრანგეთს მიმართავს თხოვნით, კეზერაშვილის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია და არ განიხილონ მისი საქართველოში ექსტრადაციის საქმე.

სააკაშვილის ამ სამარცხვინო წერილს ტოლს არ უდებს „ნაცმოძრაობის“ ლიდერების ხელმოწერილი პეტიცია, სადაც 27 გამგელებული „ნაციონალი“, დუჟმორეული ითხოვს კეზერაშვილის განთავისუფლებას. წერილში ნათქვამია, რომ დავით კეზერაშვილი არის „ნაცმოძრაობის“ დამფინანსებელი და მამა-მარჩენალი, მისი ციხეში გატარებული ყოველი დღე, ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურებას. კატეგორიულად ითხოვენ, რომ საფრანგეთის სასამართლომ არ განიხილოს მისი საქართველოში ექსტრადირების საკითხი და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ სასამართლო დარბაზიდან გირაოს სანაცვლოდ...

ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, „ალიას“ ინფორმაციებს, თუ რატომ დარბოდნენ ისინი საფრანგეთში. ამ დანაშაულებრივ ჯგუფს კეზერაშვილის საქმე დამოკლეს მახვილივით ჰკიდიათ თავზე, მათ ზუსტად იციან, რომ კეზერაშვილის სკანდალი გადაიყოლებთ. მთავარი კი ამ საქმეში ისაა, რომ პირდაპირ, მოურიდებლად ადებენ ხელს კეზერაშვილს, როგორც მთავარ დამფინანსებელს, მაგრამ იმას არ ხსნიან, როგორ, რა გზებით აღმოჩნდა, მის ანგარიშებზე მილიარდნახევრიანი ბრუნვა?!

„ალიამ“ წინა ნომერში გამოაქვეყნა სკანდალური დოკუმენტი კეზერაშვილის ოფშორული ფირმებისა და ანგარიშების შესახებ.

ახლა კი ირკვევა ისიც, რომ გავლენიანი ქართველი ბიზნესმენების საშუალებით ის ცდილობდა, გასულიყო აზერბაიჯანელ მენავთობეებთან და აზერბაიჯანის წამყვან ფიგურებთან, თუმცა აზერბაიჯანის არც ერთმა მინისტრმა სალაპარაკოდ არ მიიღო, რადგან ქვეყანაში ბოროტების მეტი არაფერი გაუკეთებია. თუმცა მან მოახერხა გავლენიანი ბიზნესმენების ჩაძირვის ხარჯზე აზერბაიჯანში გავლენები ისე გაეზარდა, რომ მხოლოდ მასთან ჰქონოდათ „დოსტუპი“. ამ ნიადაგს ის მხოლოდ ნავთობის გადაზიდვისთვის არ ამზადებდა, არამედ ჰქონდა ჩანაფიქრი, ამიერკავკასიაში სატრანზიტო დერეფანი მას ეკონტროლებინა. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ იარაღის შეძენა 2004 წლიდან დაიწყო. თუმცა მაჩვენებელმა პიკს მიაღწია 2007 წლის 5 ივნისიდან დაწყებული და სტატისტიკა 2008 წელს ყოველთვიურად იზრდებოდა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა 2013 წლის 25 ნოემბერს სკანდალური განცხადება გააკეთა: მიხეილ სააკაშვილს რომ არ ეყიდა საიერიშო სამხედრო აღჭურვილობა თვითმავალი არტილერია, მძიმე ჯავშანმანქანები, მოიერიშე შვეულმფრენები და სხვა სამხედრო ტექნიკა, მას არ ექნებოდა უგუნური სითამამე იმისთვის, რომ საქართველოს შეიარაღებული და შინაგანი ძალები ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში და რაც სააკაშვილმა გააკეთა, ეს იყო პოლიტიკური სიგიჟე.

რეალურად იყო თუ არა აგვისტოს ომი პოლიტიკური სიგიჟე, თუ დიდი ჩანაფიქრი იარაღის გაყიდვის გზით, მილიარდების შოვნისა?.. ალბათ, გამოსაძიებელია რა მიზნით წამოიწყო სააკაშვილის ხელისუფლებამ ომი. იყო თუ არა ცხოველი ინტერესი, რომ ამ ომის გზით ჩამოეწერათ მილიარდები. თუკი არსებობს ეჭვი, რომ კეზერაშვილი სააკაშვილის ბიძასთან ერთად ჩართული იყო იარაღით უკანონო ვაჭრობაში და ისინი ძირითადად ამარაგებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აგვისტოს ომი წინა ხელისუფლებამ სწორედ იმ მიზნით წამოიწყო, რომ საქართველოს კვოტით ნაყიდი იარაღი გადაეყიდათ ტერორისტებზე. მათთვის, ხომ ადამიანების სიცოცხლეს ფასი არასოდეს ჰქონია. მეტიც, ისინი ადამიანების სიცოცხლით ვაჭრობდნენ.



**აფხაზეთის ომის ვეტერანი საბრძოლო ქვედანაყოფ „ავაზას“ მეთაური, აგვისტოს ომის მონაწილე, ყოფილი პოლიტპატიმარი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი „ალიასთან“ კეზერაშვილის თემას განაგრძობს და დამატებით მასალებს გვაძლევს:**

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ხელისუფლებამ აგვისტოს ომი სწორედ იმიტომ ხომ არ წამოიწყო, რომ ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა მიეყიდათ ტერორისტებისთვის? ფაქტია, რომ ის ძვირადღირებული იარაღი, რომელიც საქართველომ შეიძინა, აგვისტოს ომის დროს არ გამოყენებულა.**

– მე მაქვს დოკუმენტური მასალები, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ დავით კეზერაშვილი ფიგურირებს ამ კრიმინალურ სქემაში, არამედ ეს არის ერთი დიდი დაჯგუფება. მე თქვენ ჩამოგითვლით გვარებს: მიხეილ სააკაშვილი, მისი ბიძა – თემურ ალასანია, დავით კეზერაშვილი, ივანე მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაია, გივი თარგამაძე, გიორგი ბარამიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ერიკ გუდისი, ვიქტორ ბუტი. ამ გვარებიდან საზოგადოება არ იცნობს ერიკ გუდისს, ის გახლავთ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, მამამისი მუშაობდა ამიერკავკასიაში, ის იყო სამხედრო ვაჭრობის უფროსი. ეს პიროვნება არის მილიარდერი, ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმოშობით ებრაელია. ამ საქმეში ჩართულია ნინუა, ის იყო თავდაცვის სამინისტროში შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც დაკავებულია. საუბარია, რომ მას ნათესაური კავშირი აქვს გიგა ბოკერიასთან. დანაშაულებრივ ჯგუფში ასევე ჩართულია საჰაერო ძალების სარდალი ურიდია, ამჟამადაც მოქმედია, ასევე ფოჩხუა, რომელიც სამხედრო ატაშეა უკრაინაში, რომელსაც ევალება საქმეების გადაფარვა. დანაშაულებრივ ჯგუფში ვასახელებ დავით მუჯირს, ის იყო მინისტრის მოადგილე ზაზა გოგავა, გენერალური შტაბის უფროსი, ესენი არიან საერთაშორისო დამნაშავეები და აი, რატომ, ახლა ამასაც აგიხსნით. 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოში მიმდინარეობდა ამ კრიმინალური დაჯგუფების მხრიდან გაქანებული იარაღით ვაჭრობა. თავდაცვის სამინისტროში იარაღით ვაჭრობის სქემა არსებობდა. თავდაცვის სამინისტრო ყიდულობდა იარაღს და სამხედრო ტექნიკას თავდაცვის სამინისტროს აღჭურვის მიზნით. საზენიტო-სარაკეტო კომპლექტები, „ბუკები“, „კრუგები“, „კუბები“... საბიუჯეტო ნუსხის მიხედვით თავდაცვის სისტემის აღჭურვისთვის გადახდილია მხოლოდ ერთ ოპერაციაში 50 მილიონი ლარი. ეს ოპერაცია შესრულდა 2007 წელს, ამის შემდეგ ისინი ყიდულობენ ნატოს სტანდარტებთან თავსებად გადასატან რადიოსადგურებს, ეს არის ძველი დანადგარი, რომელსაც ამერიკელები ვიეტნამის ომის დროს ხმარობდნენ, ამ ოპერაციაში გამოყვეს 23 მილიარდი ლარი, მაგრამ ამ დანადგარმა აგვისტოს ომის დროს იმუშავა მხოლოდ ნახევარი საათი, იმდე-

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### მაჰმადიან მესხებს გარანტიები შეუქმენითო

სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტიები, რათა მაჰმადიან მესხებს, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

„სასურველია, სახელმწიფომ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯები გადადგას, რათა ამ ადამიანების უფლებები გაცილებით აქტიურად იყოს დაცული და რეაგირება ჰქონდეს მათ განცხადებებს. პრობლემები ნამდვილად არსებობს. ძალიან ბევრ ადამიანს სურს დაბრუნება, მაგრამ რეალურად ისინი გარკვეული პროცედურების გართულების გამო, ვერ ახერხებენ საქართველოში დაბრუნებას“, – აღნიშნა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველის თქმით, საუბარია რამდენიმე ათას ადამიანზე. ომბუდსმენი გამორიცხავს, რომ საქართველოში დაბრუნების სურვილი 200-300 ათასმა ადამიანმა გამოთქვას. მისივე თქმით, საჭიროა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის გააქტიურება, რათა ქვეყანაში ერთგვარი სტრატეგია არსებობდეს. (ინტერპრესნიუსი)

### დარიალის სასაზღვრო პუნქტი 24-საათი იმუშავებს



დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტი მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა. როგორც შსს-ში აცხადებენ, აღნიშნული გადაწყვეტილება შს სამინისტრომ იქიდან გამომდინარე მიიღო, რომ საქართველოში ზამთრის კურორტებზე ტურისტების საგრძნობი მატებაა, იმატა ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტმა, ასევე გაიზარდა სატრანზიტო მოძრაობის რაოდენობა.

ამასთანავე, რუსეთის ფედერაციაში გამსვლელი სატვირთო ავტომობილების მძღოლებისთვის რუსეთის ფედერაციის ვიზების გაცემა გამარტივდა.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული პროცედურები იმისთვის ტარდება, რომ ვიზიტორების მოსალოდნელი მატების პირობებში დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით საქართველოში შემომსვლელ და გამსვლელ მოქალაქეებს მგზავრობისას გადაადგილება გაუმარტივდეთ. (ინტერპრესნიუსი)

### მერიას ტენდერების კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებს



თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი ნიკო ხაჩირაშვილი დედაქალაქის მერიას ტენდერების არასწორად და კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებს. ხაჩირაშვილის განცხადებით, ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე ტერიტორია, სადაც სათამაშო მოედანი უნდა მოწყობილიყო, მერიამ იჯარით გასცა.

ხელოვნურსაფარიან ტერიტორიაზე ავტომობილთა სადგომია განთავსებული. მისი თქმით, მოსახლეობა ავტოსადგომის გაუქმებას და სათამაშო მოედნის მოწყობას ითხოვს. შესაბამისი თხოვნით, ადგილობრივებმა საკრებულოს უკვე მიმართეს. ხაჩირაშვილის განცხადებით, ის დედაქალაქის მთავრობასა და ქონების მართვის სამსახურს ტერიტორიის იჯარით გაცემის კანონიერების შესწავლის მოთხოვნით მიმართავს. საკითხზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება და თბილისის საკრებულო ყველაფერს გააკეთებს აღნიშნული პრობლემის მოსახლეობის სასარგებლოდ მოსაგვარებლად. (ინტერპრესნიუსი)

# სააკაშვილის საიდუმლო წერილი

## როგორ ცდილობს ექსპრეზიდენტი კეზერაშვილის დახსნას

*მეშვიდე გვერდიდან*

ნად მოძველებული იყო ეს ტექნიკა. ამის გარდა შეიძინეს „იგლები“, „სტრელები“, ამაში კიდევ გადახდილია 50 მილიონი ლარი, ამ ტიპის ოპერაციებმა მიიღო სისტემატური სახე, უკვე 2007 წელს და 2008 წელს უფრო გააქტიურდა იარაღის შეძენა. ამ იარაღს ყიდულობდნენ უკრაინაში, ამათ დაარეგისტრირეს ოფშორულ ზონაში „ბელთრეინგი“, სადაც თავდაცვის სამინისტროდან ირიცხდებოდა თანხები და „ბელთრეინგი“ იყო ფულის გამტარი, საიდანაც თანხა უკვე ირიცხებოდა უკრაინაში, სპეცექსპორტში.

**— ვინ დაარეგისტრირა ოფშორულ ზონაში კომპანია „ბელთრეინგი“?**

– ეს კომპანია შექმნა სააკაშვილის ბიძამ – თემურ ალასანიამ, ამ კომპანიაში ირიცხებოდა თანხები, აკეთებდნენ დიდ ფულს. როცა ხდებოდა იარაღის მესამე ქვეყანაში გადაყიდვა, ფულის ჩარიცხვა ხდებოდა სწორედ „ბელთრეინგში“. ხმამაღლა ვაცხადებ, იარაღი ხვდებოდა ტერორისტების ხელში და როცა აქტიურდა დაიწყეს იარაღით უკანონო ვაჭრობა საქართველოს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, სწორედ მაშინ დაიწყო ტერორისტების გააქტიურებაც. კეზერაშვილი სააკაშვილის გარეშე თითსაც ვერ გაანძრევდა, უშუალოდ სააკაშვილი და მისი ბიძა ხელმძღვანელობდნენ ამ ოპერაციებს.

**— სადმე არის სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რითიც დასტურდება, რომ ის ირიბად მაინც ჩართული იყო იარაღის ბიზნესში?**

– ფორმდებოდა ხელშეკრულებები, რომელსაც ხელს აწერდა კეზერაშვილი, როგორც თავდაცვის მინისტრი, ლიცენზიას გასცემდა მაშინდელი შტაბის უფროსი ზაზა გოგავა, ასევე დავით მუჯირი, მაშინდელი მინისტრის მოადგილე, ხელშეკრულებებს ხელს აწერდა კეზერაშვილი. იმ პრინციპით ხდებოდა იარაღის შემოტანა, თითქოს ამ იარაღით საქართველოს ჯარს ამარაგებდნენ, სინამდვილეში გაედინებოდა არაბულ ქვეყნებში. არსებობს იარაღის ინსპექცირება, ამას მკაცრად აკონტროლებს გაერო, რომელიც ინსპექცირებას უწევს იმ ქვეყნებს, ვინც იარაღს აწარმოებს, რათა იარაღი არ მოხვდეს ტერორისტების ხელში.

მოდი, ახლა ვთქვათ, რატომ გაკეთდა ეს სქემა საქართველოში... ქვეყნებს, სადაც საქართველოდან შედიოდა იარაღი, ადევთ საერთაშორისო ემბარგო. მათ არა აქვთ უფლება, იყიდონ იარაღი და სამხედრო ტექნიკა, რადგან არის საშიშროება, რომ ეს იარაღი აღმოჩნდეს ტერორისტების ხელში. აქედან გამომდინარე, პირდაპირი წესით ვერ იყიდის იარაღს ვერც სირია, ვერც ირანი, ვერც ლათინო-ამერიკული ქვეყნები, რადგან ისინი რომ პირდაპირ გასულიყვნენ უკრაინაში „უკსპეცექსპორტთან“, ამას მოჰყვებოდა საერთაშორისო სკანდალი. ამისთვის საჭირო იყო ქვეყანა, რომელსაც უფლება ჰქონდა იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის. საქართველოში მოიძებნა საყრდენი ძალა სააკაშვილის, მისი ბიძისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. ერიკ გუდისი ამ არხებზე იყო გასული. მოკლედ, სქემა მარტივადააწყეს. ნუსხის მიხედვით დიდძალი სამხედრო ტექნიკა როცა დაგროვდა, რომელიც რეალურად იყო გადაყიდული მესამე ქვეყნებზე, რომ არ მომხდარიყო ინსპექტირება და შემოწმება იმისა, რამდენად რეალურად არსებობდა სამხედრო ტექნიკა თავდაცვის სამინისტროში და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სწორედ ამიტომ გაითამაშა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს საბრძოლო მოქმედებები, რადგან მთლიანობაში მომხდარიყო მილიარდების ჩამოწერა.

**— თქვენ გადმომეცით იარაღის ნუსხა, სადაც ვკითხულობთ, რომ „უკსპეცექსპორტიდან“ შეძენილი იარაღი შემოდიოდა საქართველოში რუსული დროშის ქვეშ მცურავი გემებით. ეს რას ნიშნავს? რუსები გვამარაგებდნენ იარაღით? ეს ხომ სკანდალია!.. გამოდის, რომ მათ თავიდან ბოლომდე იცოდნენ, რა შეიარაღებას ფლობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.**

– რუსებმა ისიც კარგად იცოდნენ, რა იარაღი შემოდიოდა და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ის იარაღი რეალურად საქართველომ მესამე ქვეყნებზე გადაყიდა. დიახ, ეს იარაღი შემოდიოდა რუსული გემებით და არა უკრაინულით. „რუსვაარუჟენია“ აწვდიდა „უკსპეცექსპორტს“ იარაღს, რომელიც არის „რუსვაარუჟენიას“ შვილობილი კომპანია და ის იარაღი შემოდიოდა საქართველოში. მაგალითად, 2008 წლის 12 ივნისს იარაღი „უკსპეცექსპორტიდან“ შემოიტანა რუსულმა გემმა „გეროი პლავანი“, ამავე გემს შემოტანილი აქვს იარაღი 2008 წლის 8 აგვისტოს. ამ გემს 2007 წელსაც აქვს შემოტანილი იარაღი, ეს არის რუსული კომპანია, რომელსაც შვილობილი კომპანიები ჰყავს, რომლის ორი ფილიალი არის საქართველოშიც, ერთი ფილიალის ხელმძღვანელია ვანო მერაბიშვილის ახლო ნათესავი, გვარად მერაბიშვილი, ხოლო მეორე ფილიალის ხელმძღვანელია ვინმე ფოჩხუა.

**— ოდესიდან საქართველოში შემოდიოდა იარაღით დატვირთული გემები, მაგრამ საქართველოდან იარაღის მარშრუტი როგორი იყო და რა გზით აღწევდა შეიარაღება მესამე ქვეყნებში?**

– ამ დაჯგუფებამ, კეზერაშვილის ხელმძღვანელობით, ხელში ჩაიგდო გადაზიდვების კომპანიები, ტერმინალი იყო საჰაერო კარიბჭე, აეროპორტში რომლის მეშვეობითაც საჰაერო გზით გადაჰქონდათ იარაღი, აეროპორტი იყო თემურ ალასანიასი. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჟვანია მოკლეს, ეს თემა გახლავთ. ზურაბ ჟვანია იყო წინააღმდეგი, რომ თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს ინტერესი ჰქონოდათ საქართველოს აეროპორტში, რადგან მან იცოდა, რომ ამ ადამიანებს ინტერესი ჰქონდათ იარაღის ბიზნესში. ჟვანია ამბობდა, – ესენი არიან აფერისტებისა და თაღლითების ჯგუფი, სააკაშვილს მიაწვა ბიძამისი, გაეჩუმებინათ ჟვანია, მაგრამ მიშამ უთხრა, ამ საკითხზე ჟვანიას ვერ დავიყოლიებო, რაზეც თემურ ალასანიამ უპასუხა, თუ შენ ვერ დაიყოლიებ, ჩვენ გავაჩუმებთ ერთ თვეშიო. ჟვანიაც მოიცილეს და აეროპორტიც ხელში ჩაიგდეს.

თურქული კომპანია „ტავი“ – ეს არის შირმა, რეალურად კი ამ კომპანიის მიღმა დგას ალასანიას ინტერესები და ამ გზით აწარმოებდნენ იარაღის გადაზიდვას, რაც შეეხება საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვებს, ეს თემები კეზერაშვილმა წაიღო, ის იყო ბათუმის ტერმინალი, ფოთის ტერმინალი იყო კეზერაშვილის კონტროლქვეშ, ნავთობკომპანიას იყენებდა თავისი ინტერესებისთვის და ბენზინის ცისტერნებით კეზერაშვილს იარაღი გადაჰქონდა, ეს იყო შირმა, თითქოს გარკვეული ტიპის ბიზნესებს ეწეოდნენ, მაგრამ რეალურად, ხშირად ბენზინის ნაცვლად ცისტერნები დატვირთული იყო იარაღით. ტვირთი იყო დალუქული და მას ვერავინ გახსნიდა, იარაღის მესამე ქვეყნებში გატანა ხდებოდა როგორც თურქეთიდან, ასევე აზერბაიჯანიდან, იმიტომ იყო სააკაშვილი ჩახუტებული აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, გადაწყვეტილი ჰქონდათ, საქართველო და აზერბაიჯანი გახსნილი ყოფილიყო იარაღის გადაზიდვის კუთხით. მოგეხსენებათ, რომ აზერბაიჯანიდან, კასპიის ზღვით უმოკლესი გზა არის ირანი, საიდანაც ხდებოდა ირანის იარაღით მომარაგება. იმდენად მასშტაბური სახე მიიღო ამ ჯგუფის საქმიანობამ, რომ იყო ქვეყნები, რომლებთანაც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, შენიღბვის მიზნით. მაგალითად, ჩადიოდნენ ლიბანში, სადაც მათ ეს ბიზნესი ჰქონდათ, უფრო ხშირად კი ჩადიოდნენ დუბაიში, მათ იქ ჰქონდათ ოფისები, დუბაი იყო იმიტომ შერჩეული, რომ ის სპეცსამსახურების მხრიდან ვერ კონტროლდება. მაგრამ ერთი რამ არ დაგავიწყდეს, ამ ბიზნესში ჩართულები იყვნენ რუსებიც, მათი წარმომადგენელი იყო თემურ ალასანია. მეტსაც გეტყვით, ჩემი ინფორმაციით, თემურ ალასანიამ დატოვა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან მას გაუჩნდა შიში, რომ „ეფბიაის“ არ დაეკავებინა, დღეს ის იმყოფება რუსეთში. იარაღით საერთაშორისო მოვაჭრის ვიქტორ ბუტის ოფისში კი, მიხეილ სააკაშვილი რამდენჯერმეა ნამყოფი. დანარჩენ დეტალებს ექსკლუზიურად მომდევნო ინტერვიუში გაგიმხელთ.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საარჩევნო რეფორმამ კრახი განიცადა




„თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივნის ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, ხელისუფლებამ საარჩევნო რეფორმებზე უარი განაცხადა. მისი თქმით, კაჭრეთში ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომის ჩატარების შემდეგ, რომელიც საარჩევნო კოდექსის მიღებას ეხებოდა, ხელისუფლებისგან ვერანაირი წინადადება ვერ მოისმინეს.

„სამწუხაროდ, ჩვენ სახელისუფლებო კოალიციის მხრიდან ვერ მოვისმინეთ ვერანაირი წინადადება. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ თემაზე მათ არც უფიქრიათ. რადგან მათ არ გააჩნიათ პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარჩევნო რეფორმამ კრახი განიცადა“, – აღნიშნა შალამბერიძემ.

შალამბერიძე სამ ძირითად საკითხს აყენებს: საარჩევნო სისტემა, ამომრჩეველთა სიები, ადმინისტრაციის დაკომპლექტება. მისი თქმით, ეს ის საკითხებია, რომლის გარეშეც სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. (ინტერპრესნიუსი)

## გენინსპექციამ შემოწმება დაასრულა



სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში განთავსებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ივანე მერაბიშვილის ადვოკატის, დავით ხაჟალიას განცხადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, გენერალური ინსპექციის მოთხოვნის საფუძველზე, ამოღებული იქნა 377 გიგაბაიტი მოცულობის ვიდეომასალა, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის არსებულ მონაკვეთში განლაგებულმა თვრამეტმა სათვალთვალო კამერამ 2013 წლის 13 დეკემბრის 12:00 საათიდან 2013 წლის 14 დეკემბრის 12:00 საათამდე ჩაიწერა.

„ჩანაწერის დათვალიერებისას საქმისთვის საინტერესო ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს, 2013 წლის 17 დეკემბერს, ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისთვის, 13-14 დეკემბრის ჩანაწერი აღარ არსებობდა, ვინაიდან შენობებში არსებული ვიდეო-სათვალთვალო ტექნიკური საშუალებები, 24 საათის გასვლის შემდეგ, ახალი ინფორმაციის ჩაწერის გამო, ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის“, – აცხადებენ სამინისტროში.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოიკითხნენ სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ 2013 წლის 14 დეკემბერს ღამის საათებში სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების ტერიტორიის დატოვების ფაქტი.

„შემოწმდა სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში არსებული ჟურნალებიც, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე ავტომანქანების შესვლა-გასვლასა და ბრალდებულ-მსჯავრდადებულთა მოძრაობას აღრიცხავენ. ამდენად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, ივანე მერაბიშვილის განცხადებაში და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა“, – აღნიშნავენ უწყებაში. (ინტერპრესნიუსი)

# რა საუბარი შედგა ღარიბაშვილსა და მარგველაშვილს შორის?

## და რა აწყენინეს ივანიშვილს



რამდენიმე დღეა, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ გიორგი მარგველაშვილ-სა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის დაპირისპირებაა, თუმ-ცა საზოგადოებისთვის დღემ-დე უცნობია ამ დაპირისპირე-ბის კონკრეტული მიზეზები. „ალია“ წერდა, რომ ბიძინა ივანიშვილიც განაწყენებული ყოფილა მარგველაშვილზე. მაინც, რა ხდება საქართვე-ლოს პირველ პირებს შორის და რაზე განაწყენდა ივანიშ-ვილი?

„ალიამ“ სამთავრობო წრეებთან დაახლოებული პირებისგან შეიტყო, რომ მარ-გველაშვილმა პირველად საყვედური მისი ოჯახური მდგომარეობის გამო მიიღო. კერძოდ, ჯერ კიდევ საპრეზი-დენტო არჩევნებამდე პრე-მიერ-მინისტრმა ივანიშვილმა სთხოვა გიორგი მარგველაშ-ვილს, ხელი მაინც მოეწერა მეგობარ ქალთან, მაკა ჩიჩ-უასთან, რათა მათი ურთიერ-თობა საზოგადოებისა და ჟუ-რნალისტების სალაპარაკო არ გამხდარიყო, მაგრამ მარ-გველაშვილმა პრემიერის ეს თხოვნა არაფრად ჩააგდო.

გაპრეზიდენტების შემდეგ კი მარგველაშვილმა თავის გუნდში წაიყვანა „ნაციონა-ლური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარი-ანი ძმა, ვანო მაჭავარიანი, რომელიც პრეზიდენტის მრჩეველია საგარეო ურთიერ-თობათა საკითხებში. ივანიშ-ვილთან დაახლოებული წრე კი აცხადებს, რომ ექსპრე-მიერს მიხეილ მაჭავარიანი სასტიკად არ მოსწონს, რად-გან წლების განმავლობაში ივანიშვილს სააკაშვილი ფულს სწორედ მიხეილ მაჭა-ვარიანის საშუალებით „სძა-ლავდა“. მიშა მაჭავარიანი იყო შუამავალი ბიზნესმენსა და ყოფილ პირველ პირებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ვანო მაჭავარიანი მარ-გველაშვილმა „ქართული ოც-ნების“ გუნდში გაპრეზიდენტ-ებამდე რამდენიმე თვით ადრე მიიყვანა, ივანიშვილს მაინც არ ეგონა, თუ მის მიერ გაპრეზიდენტებული მარგვე-ლაშვილი ვანო მაჭავარიანს მრჩევლად დანიშნავდა.

რაც შეეხება უშუალოდ ღარიბაშვილსა და მარგვე-ლაშვილს შორის არსებულ უთანხმოებას, „ალია“ წერდა, რომ ღარიბაშვილი ძალიან გაალიზიანა გიორგი მარგვე-ლაშვილის პოზიციამ, რომ არ გადავადებულიყო გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ვადა. მარგველაშვილს სურდა, კანონში შეტანილიყო ცვ-ლილებები, რომლის მიხედვი-თაც, მოწმეთა დაკითხვა მხ-ოლოდ სასამართლო პრო-ცესზე იქნებოდა შესაძლებე-ლი. პარლამენტმა 71 ხმით 25-ის წინააღმდეგ დაამტკიცა და მოწმის დაკითხვის ახალი წე-სის ამოქმედების ვადამ 2 წლით, 2015 წლის 31 დე-კემბრამდე კი გადაიწია, მა-გრამ ღარიბაშვილს წყენა მაინც დარჩაო.

როგორც „ალიასთვის“ გახ-და ცნობილი, სწორედ ამ კანონპროექტთან დაკავშირე-ბით საკმაოდ მძიმე სატელე-ფონო საუბარი შემდგარა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის. პრემიერს მარგველაშ-ვილისთვის თავისი უფლება-მოვალეობები შეუხსენებია და მიუნიშნებია ისიც, ვინ არის ქვეყანაში პირველი პირი. საუბარი იმდენად მძიმე ყოფი-ლა, რომ სწორედ ამის გამო არ მისულა მარგველაშვილი მეორე დღეს, შობის დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარში. „ალიას“ წყაროს თქმით, როდესაც პრემიერმა მთავრობის სხ-დომაზე განაცხადა, ვისაც არ ეზარება, ყველა საკანონმდე-ბლო ინიციატივით გამოდისო, მხოლოდ მინისტრები არ უგ-ულისხმია და ეს ფრაზა პრეზ-იდენტის გასაგონადაც უთქ-ვამს. წყაროს თქმითვე, მსგავ-სი რამ მომხდარა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ღონისძიებაზეც, სადაც მარ-გველაშვილს რაღაც საკანონ-მდებლო ინიციატივაზე წამოუწყია საუბარი (წყარო ვერ აკონკრეტებს საკითხს. – შ.გ.), რაზეც პრემიერს უპა-სუხია, შენ რასაც არ გეკითხ-ებიან, იმაში ნუ ჩაერევიო.

**გამოიწვევს თუ არა პოლი-ტიკურ კრიზისს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირი-სპირება და ვინ დაალაგებს მათ შორის ურთიერთობას, როცა ივანიშვილიც ნაწყენია მარგვე-ლაშვილზე?**

**„ალიას“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს:**



**— პრესაში ვრცელდება ინ-ფორმაცია, რომ დაპირისპირე-ბაა რიგ საკითხებზე პრეზიდენტ მარგველაშვილსა და პრემიერ ღარიბაშვილს შორის. რა უარყ-ოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ უთანხმოებამ?**

— არანაირ უარყოფით შედეგს არ მოიტანს. ახლა მი-დის ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვის პროცესი. სულ სხვა იყო, როდესაც მარ-გველაშვილიც და ღარიბაშ-ვილიც თანაგუნდელები იყვნენ და წინასაარჩევნო პროცესშიც ერთად მონაწი-ლეობდნენ, ახლა ორივე მა-ღალ პოსტზე იმყოფება და უნდა გამონახონ საერთო ენა. რა თქმა უნდა, გარკვეული უთანხმოება არის, კანონთან დაკავშირებითაც ჰქონდათ უთანხმოება, ეს ეხებოდა, როგორც მე ვიცი, მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადე-ბას, იყო კულუარული უთანხ-მოებაც, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება რამე დიდ

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

## ოპერის დასი რეპეტიციებს განაახლებს



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალე-ტის თეატრის დასი რეპეტიციებს განაახლებს. აღნიშნული გადაწყვეტილება შემოქმედებითმა კოლექტივმა მას შემდეგ მიიღო, რაც სამხ-ატვრო ხელმძღვანელის, გიორგი ჟორდანიას თანამდე-ბობიდან გადადგომის შესახებ შეიტყო.

ოპერის თეატრის სოლის-ტის გოჩა დათუსანის განცხა-დებით, ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის ვინაობა ჯერ უცნობია. შეიქმ-ნება სამხატვრო საბჭო, რომელიც თეატრის მოწინავე თანამშრომლებით დაკო-მპლექტდება და კანდიდა-ტურის შესახებ გადაწ-ყვეტილებას ისინი მიიღებენ.

„შემდეგ შევარჩევთ კანდი-დატურას და მინისტრი მისივე უფლებამოსილებით დაამტკი-ცებს და არა ისე, როგორც დამტკიცდა ერთი წლის წინ, ძალით“, – აღნიშნა დათუსან-მა.

ოპერის მთავარი დირი-ჟორის, ჯანლუკა მარჩიანოს განცხადებით, სამხატვრო ხე-ლმძღვანელად მისი კანდი-დატურა არ განიხილება და მსგავსი შეთავაზება რომც მიიღოს, არ დასთანხმდება.

თეატრის სოლისტების განცხადებით, თეატრის ყო-ფილ სამხატვრო ხელმძღვ-ანელს, გიორგი ჟორდანიას თავიდანვე რომ არ გაემ-წვავებინა სიტუაცია და რომ მომხდარიყო შეთანხმება, ასევე, არ ყოფილიყო დიქტა-ტორული და ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, სიტუა-ცია აქამდე არ მივიდოდა. თუმცა, ოპერის სოლისტები გიორგი ჟორდანიას მადლო-ბას უხდიან, რომ მას „ვაჟკა-ცობა ეყო“ და გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პოლიტიკურ აქტიურობაში ხელს მიშლიანო



გიგი უგულავას განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მას პოლიტიკურ აქტიურობაში, მოახლოებული არჩევნებიდან გამომდინარე, ხელი შეუშალოს და ამას სასამართ-ლო პროცესებს უკავშირებს.

გიგი უგულავას განცხადებით, მოწმე გიორგი ისაკაძის ჩვენებისას ჩანს, რომ „ტელეიმედის“ საკითხი აბსოლუტურად განსხვავებულია რიყის საკითხისგან, სადაც მას და კეზერაშვილს ბრალს უყენებენ.

„მოწმემ ისაუბრა იმ პირობებზე, რომელშიც ის დაკითხეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და კარგად გამოხატავს დღევანდელი ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის მუშაობას. მოწმეს ტელეფონით შეატყობინეს და დაიბარეს სულ სხვა შენობაში – მოდულში. არ უთხრეს, რაზე აყურყუტეს ორი საათის განმავლობაში. შემდეგ უკანა კარიდან გაიყვანეს, სხვა ხალხმა ჩაისვა მანქანაში და გადაიყვანეს ფინანსურ პოლიციაში. ეს ხდებოდა ღამით, 12 საათის შემდეგ. ეს გარემოება მაშინვე გავასაჩივრეთ, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს ადამიანის დატყვევებას. მიუხედა-ვად ყველა ამ წინაპირობისა და პრობლემისა, ჩვენებიდანაც კარგად ჩანდა, რომ ეს არის აბსოლუტურად ერთმანეთისგან განსხვავებული საქმე – „ტელეიმედის“ საკითხი და რიყის გასხვისების საკითხი“, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მისი თქმით, მის წინააღმდეგ ბრალდება მთავრობისა და პროკურატურის მხრიდან არის „შეწებებული და შეთითხნილი“.

„ვერც ერთი მოწმე ვერ და არ საუბრობს იმაზე, რომ რაიმე დანაშაულის შემცველი იყო რომელიმე გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ პროცესები, რომელიც ჩვენ ირგვლივ მიმდინარეობს, არის აბსოლუტურად პოლიტიკური. მას აქვს მხოლოდ ერთადერთი ამოცანა, რომ ჩამომაშოროს საქმიანობას და შემიზღუდოს პოლიტიკური აქტიურობის შესაძლებლობა. განსაკუთრებით ადგი-ლობრივი არჩევნების გზით და ეს უფრო და უფრო ნათელი ხდება სასამართლო სხდომამდე“, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მან გიორგი ისაკაძის ჩვენების ერთ ნაწილზეც გააკეთა კომენტარი, რომლის მიხედვითაც „იმედში“ მუშაობის პერიოდში უგულავამ ისაკა-ძე დაიბარა. როგორც ბრალდებული უგულავა აცხადებს, ისაკაძესთან შეხვედრა კანონიერი იყო. ის მას შეხვდა, როგორც ტენდერში გამა-რჯვებული კომპანიის წარმომადგენელს, რათა დეტალებში გარკვეულიყო. (ინტერპრესნიუსი)

## პატრიარქი მნიშვნელოვანი პერსონაა საქართველოში



საპატრი-არქოში სრული-ად საქართველოს კათოლიკოს-პა-ტრიარქმა, ილია მეორემ ევროსაბ-ჭოს საპარლამენ-ტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან შეხ-ვედრა გამართა. ევროსაბჭოს წარმომადგენელმა მაიკლ იენსენმა ხაზი გაუსვა საქართველოს პატრიარქის დადებ-ით როლს და აღნიშნა, რომ პატრიარქი მნიშვნელოვანი რელიგიური პერსონაა საქართველოში. მან ასევე განაცხ-ადა, რომ შეხვედრაზე გაეცნენ არსებულ სიტუაციას, მათ-თვის მნიშვნელოვანი იყო შეხვედრაზე განხილული საკ-ითხები, კერძოდ – რა შეუძლია, გააკეთოს ეკლესიამ პოლიტიკური თუ რელიგიური კუთხით საზოგადოების გასაერთიანებლად. (ინტერპრესნიუსი)

## რიკოთის უღელტეხილზე მოძრაობა თავისუფალია



რიკოთის უღელტეხილზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე შეზღუდვისა და აკრძალვის რეჟიმები მოხსნილია.

ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზაზე (კმ1-კმ97) აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)

## ბაზრის გადატანას აპროტესტებენ

გორის ადმინისტრაციულ შენობასთან ბაზრის მოვაჭრეებმა სავაჭრო ობიექტის სხვა ტერიტორიაზე გადატანა გააპროტესტეს. მათ ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრაც სცადეს, შენობის დაცვის სამსახურის წინააღმდეგობის შემდეგ მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის წევრები შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მოვაჭრეთა თხოვნის საფუძველზე, ბაზრის გადატანა რვა თვით გადაავადეს. „ყველა მოვაჭრისა და მოქალაქის უფლება დაცული უნდა იყოს, თუმცა გასათვალისწინებელია იმ უცხოელი ინვესტორის უფლებებიც, რომელსაც, ქვეყანაში მოქმედი კანონების გარდა, საერთაშორისო სამართალიც იცავს, ამიტომ ქუჩაში გამოსვლითა და აქციების ენით ეს პრობლემა ვერ გადაწყდება", – აცხადებენ ადგილობრივ ხელისუფლებაში. (ინტერპრესნიუსი)

# რა საუბარი შედგა ღარიბაშვილსა და მარგველაშვილს შორის?

*მეცხრე გვერდიდან*

სკანდალში გადაიზარდოს. ყოველ შემთხვევაში ამის უფლება არ აქვს არც ერთს და არც მეორეს. ამას გარდა, ყველას აქვს კანონით განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები. საზოგადოებას არ აინტერესებს, რა ხდება ხელისუფლების ზედა ეშელონებში, ვინ ვის საყვედურობს და ვინ ვის უპირისპირდება, საზოგადოებას აინტერესებს შედეგი. მე პირადად უფრო მაინტერესებს იმ კრიზისის მდგომარეობაც, რაც არის მთავრობაში, ხშირ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, სამთავრობო სტრუქტურები ჰარმონიაში არ არიან ერთმანეთთან.

**— მაინც რომელმა მინისტრებმა დაგიტოვეს შთაბეჭდილება, რომ არ არიან ჰარმონიაში?**

– ყველა სამინისტროს ვგულისხმობ, არ არიან ჩამოყალიბებული. ვხედავ, რომ ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს მინისტრების მუშაობის სხვა სტილი იყო და ახლა საერთოდ სხვა სტილია. ახალი სტილი კი შემუშავებული ჯერ არ არის. ივანიშვილს სჭირდებოდა კარგი მენეჯერები და არა კრეატიული მენეჯერები, ღარიბაშვილთან პირიქითაა, აქ ამის გამოა გაუცხოება ერთმანეთში.

**— უახლესმა ისტორიამ აჩვენა, რომ ნებისმიერი სამთავრობო დაპირისპირება საბოლოოდ მაინც არ იმალება და საზოგადოებისთვის ხდება ცნობილი. თუკი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დაპირისპირება გახდება საჯარო, ეს ხომ არ შეიტანს დაბნეულობას კოალიციის მხარდამჭერებში თვითმმართველობის არჩევნების წინ?**

– დღეს მნიშვნელოვნად განსხვავდება უფლებები და ფუნქციები პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის და მათ შორის დაპირისპირება ვერ შეცვლის იმ ხაზს, რაც უნდა ჰქონდეს მთავრობას. თუკი მარგველაშვილი საერთოდ ოპოზიციაში ჩადგება, ესეც ვერ შეცვლის სიტუაციას, თუმცა გეთანხმებით იმ ნაწილში, რომ არჩევნების წინ არ იქნება მომგებიანი თანაგუნდელებს შორის დაპირისპირება, თან ისეთი რანგის, როგორიც პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტია. მაგრამ ესეც ვერ დააზარალებს მმართველ გუნდს. მთავრობას რაც დააზარალებს, ის უკვე ხდება.

**— რას გულისხმობთ?**

– არ არსებობს კომუნიკაცია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და აქედან გამომდინარე საზოგადოება ხელისუფლებას პასიურობასა და უმოქმედობაში ადანაშაულებს. მაგალითად, ჩემთვის უარყოფითი ფაქტი იყო ის, რომ ახალი წლის წინა დღეებში პრემიერ-მინისტრს ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თვითონ უწევდა იმის ახსნა, რა ხდება საქართველოში, რა პროდუქცია დადო მთავრობამ ერთ წელიწადში. სხვათა შორის, ღარიბაშვილის საუბრის შემდეგ გავიგეთ, რომ უმუშავია მთავრობას და გაუკეთებია რაღაცები, მაგრამ ამას საზოგადოება პრემიერის სატელევიზიო ინტერვიუდან არ უნდა იგებდეს. გარდა ამისა, მთავრობის მიერ გაკეთებულ სიკეთეებს ვერ გრძნობს საზოგადოება, იმასთან ერთად, რომ ვერც ხედავს. თუმცა გარკვეული საფუძველი უკვე ჩაყრილია და ამის ახსნა უწევს ისევ პრემიერ-მინისტრს. გარდა ამისა, ასუსტებს ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურება და ყოფილი ხელისუფლების დამნაშავე წევრების ბოგინი დღესაც. სწორედ ეს აგიჟებს საზოგადებას, მმართველი გუნდის მიმართ იწვევს პროტესტის გრძნობას და არა ის, თუ რა დამოკიდებულებაა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის.

**— ღარიბაშვილის ღია კრიტიკა დაიმსახურეს კომუნიკაციების არარსებობის გამო ფინანსთა და სასჯელაღსრულების მინისტრებმა, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ამ არაჰარმონიული მუშაობის გამო მოხდეს მინისტრთა კაბინეტის გადახალისება?**

– იცით, როგორ არის? ან სამთავრობო გუნდი მუშაობის ჰარმონიულ რეჟიმში გადავა, პასუხისმგებლობას ყველა გაიზიარებს და ფეხშეწყობილად იმუშავებენ, ან არადა ეს გუნდი უნდა დაიშალოს, ეს ხომ ელემენტარულია? როგორც ფეხბურთშია, ან შეთამაშებული არიან, ან არ არიან საერთოდ. თუ უახლოეს მომავალში არ მოახერხებს მთავრობა ამ ყველაფერს, მაშინ ირაკლი ღარიბაშვილი იძულებული გახდება, შეცვალოს ზოგიერთი წევრი. სამთავრობო კრიზისს რომ არ დაუშვებს ირაკლი ღარიბაშვილი, ამაში ბოლომდე ვარ დარწმუნებული.

**— მაინც ვის „გაწირავს" პრემიერი?**

– ამის თქმა გამიჭირდება ხელაღებით. მე გარკვეულწილად ვიცი, რამ განაპირობა ეკონომიკური პრობლემები და ლარის კურსის ასეთი მდგომარეობა, ამიტომ არ არის გამორიცხული, ძირითადი დარტყმა ეკონომიკური ბლოკის მინისტრებზე წავიდეს.





შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

## დეპუტატს პროკურატურაში უჩივიან



წავკისის მოსახლეობის ნაწილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის გიორგი ფეიქრიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელის შეტანას აპირებს. წავკისში მაცხოვრებლების განცხადებით, ფეიქრიშვილი, თანამოაზრეებთან ერთად, გარდაბნის რაიონში ჩატარებული მიწის რეფორმის პერიოდში გაცემული მიწის ნაკვეთების წილში იმყოფებოდა.

ადვოკატ ლექსო არქანიას განცხადებით, დეპუტატმა გიორგი ფეიქრიშვილმა და მისმა ოჯახმა დანაშაულებრივი გზით დიდძალი ქონება დააგროვა. მისივე თქმით, წლების განმავლობაში ქონებას ფეიქრიშვილი დეკლარაციაში არ უთითებდა, ხოლო მოულოდნელად, 2013 წლის დეკლარაციის მიხედვით, ის მილიონერია.

„არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ფეიქრიშვილმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისთვის ლეგალური სახის მიცემა მოინდომა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ასევე მოქალაქეთა განცხადებით, მის მიერ ჩადენილია არა ერთი მძიმე დანაშაული. აღნიშნული დანაშაულების შედეგად წავკისელები დაზარალდნენ და დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიიღეს", – განაცხადა არქანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## მამაკაცი ყინვისგან გარდაიცვალა

შიდა ქართლის სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ქარელის რაიონში, სოფელ ოქროსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი მკვიდრი, 73 წლის ჯემალ ქასოშვილი გარდაცვლილი იპოვეს. მას ახლობლები 14 იანვრის საღამოდან ეძებდნენ. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად გაყინვა სახელდება.

მოხუცი საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით იმყოფებოდა, თუმცა, სავარაუდოდ, ძლიერი ყინვის გამო სახლამდე ველარ მიაღწია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა" სუბარის გადადგომას ითხოვს



„ნაციონალური მოძრაობა" სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ ვანო მერაბიშვილის საქმეზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებს უნდობლობას უცხადებს და სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის გადადგომას ითხოვს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი გაბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობას ერთი თვე დასჭირდა იმის სათქმელად, რომ ვიდეოჩანაწერები, სადაც აღბეჭდილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის საკნიდან გატაცება, არ არსებობს.

„მათი ცინიკური მტკიცებით, №9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განლაგებული კამერების ჩანაწერები იშლება 24 საათის განმავლობაში. სულ ცოტა ხნის წინ, თავად სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი ამტკიცებდა, რომ ჩანაწერები 10 დღის განმავლობაში ინახება, „ქართული ოცნების" არაერთი ლიდერი კი, ჯიუტად იმეორებდა, რომ ფირების ამოღებას სჭირდება გარკვეული პროცედურები, რის გამოც ეს სწრაფად ვერ მოხდებოდა. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოყმანი, მომხდარიყო მტკიცებულებათა ფაბრიკაცია თუ პირდაპირ გაცხადებულიყო, რომ შესაბამისი ჩანაწერი არ არსებობს. მთავრობამ აირჩია უფრო მარტივი გზა. აბსოლუტურად გაუგებარია, რომ თუკი ასეთი ჩანაწერი არ არსებობდა – რატომ ვერ გახდა ეს ცნობილი პირველივე დღეს", – განაცხადა გაბაშვილმა.

დეპუტატის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სამინისტროში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მსგავსი ჩანაწერები ინახებოდა ერთი თვე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ნახევარი წელიც კი. როგორც გაბაშვილმა აღნიშნა, ამას ბაჩო ახალაიას შემთხვევაც ადასტურებს, როდესაც მისი საკნის ჩანაწერი რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნდა.

დეპუტატის შეფასებით, დანაშაულის მასშტაბიდან გამომდინარე, აუცილებელია საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება დანაშაულის დაფარვით არის დაკავებული. (ინტერპრესნიუსი)

## მერიის პროგრამები კითხვის ქვეშ დგება?



თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის განცხადებით, ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, კითხვის ქვეშ დგება მერიის მიერ დაგეგმილი ყველა ის პროგრამა, რომელიც 2014 წლისთვის იყო გათვალისწინებული.

მისი თქმით, თბილისის საკრებულოს უმრავლესობა ვერ გაერკვა ვერც საბიუჯეტო კოდექსში, ვერც ქართულ კანონმდებლობაში და ვერც იმ წერილში, რომელიც თბილისის მერიამ მათ პრობლემების თავიდან ასაცილებლად გაუგზავნა.

„პრობლემები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არის სოციალური და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, ასევე პრობლემები ექმნება კომუნალური ვაუჩერების დარიგებას და ოპერაციების დაფინანსებას", – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

მისივე თქმით, ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობა, მნიშვნელოვნად ზღუდავს აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების არეალს და თბილისის მერიას შეეძლება მხოლოდ ხარჯოს ბიუჯეტით გათვალისწინებული თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში იმ თანხის 1/12, რაც გასული წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# სასამართლო რეფორმას თეა წულუკიანი ბლოკავს?

**რა სქემით „აპრავებს“ „ნაციონალების“ მიერ მართული სასამართლო წინა ხელისუფლებას? რატომ ვერ უშლის ამას ხელს ახალი პოლიტიკური რეალობა? რატომ არ აწყობს არავის დამოუკიდებელი სასამართლო და რომელი მოსამართლეები სარგებლობენ პრივილეგიებით? რა საქმეებში უხდიან მოსამართლეებს მაღალ ხელფასებსა და პრემიებს?**

**„ალიას“ ადვოკატი და უფლებადამცველი მამუკა ნოზაძე ესაუბრა:**

**— ბატონო მამუკა, „ნაციონალების“ მიერ მართული პროკურატურისა და სასამართლოს არსებობა აშკარად ჩანს, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რატომ არ ეწინააღმდეგება ამას ახალი ხელისუფლება, რატომ არ იღებს ზომებს იმისთვის, რომ სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა აღდგეს?**

– სასამართლო ხელისუფლებაში ისევ ისეთი განუკითხაობაა, ისევ ისეთი გამაოგნებელი ფაქტები ხდება, რაც „ნაციონალების“ დროს ხდებოდა. დღეს უფრო უკეთესად მართავს „ნაციონალური მოძრაობა“ სასამართლოს, ვიდრე მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყო. თუმცა უკმაყოფილებას სულ გამოხატავენ, რათა საზოგადოებას დაანახონ, როგორი არაობიექტურია სასამართლო. ეს ერთგვარი პიარია, რომელიც კოტე კუბლაშვილთანაა შეთანხმებული, სამაგიეროდ, სასამართლო იღებს გამამართლებელ გადაწყვეტილებებს. ყველა საქმე, რომელიც არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივია, არამედ სამოქალაქო და ეხება „ნაციონალებს“, ყველა საქმეზე დგება გამამართლებელი განაჩენი. სასამართლო ხელისუფლებაში არც ერთი კადრი არ შეცვლილა.

დღეს კოტე კუბლაშვილმა მიაღწია იმას, რომ მოსამართლეებს ხელფასები მომატებოდათ და ამაში ხელი შეუწყო ბიძინა ივანიშვილმა. დღეს მათ აქვთ შეუსაბამო ხელფასები, გრიალებენ. პენსია მინიმალურია, ქვეყანას უჭირს და თითქოს რაიმე შრომატევად სამუშაოს ასრულებდნენ, იმხელა ხელფასები დაუნიშნეს მოსამართლეებს, რომ კიდევ უფრო მეტად წაახალისეს უსამართლობა. არანაირ საქმეს ეს მოსამართლეები არ აკეთებენ, მეტსაც გეტყვით, უზენაესი სასამართლო საერთოდ არ იხილავს საქმეებს. არც სამოქალაქოს იხილავს, არც ადმინისტრაციულს, რადგან 98%-ს დაუშვებლად მიიჩნევს. ეს არ არის ქართველი ხალხის შეურაცხყოფა, როცა არაფრის კეთებაში უხდის მოსამართლეს 6 000-9 000 ლარს?

**— სწორედ ამიტომ მაინტერესებს, ხელისუფლება რატომ არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სასამართლომ თავისი საქმე აკეთოს?**

– სასამართლოს დამოუკიდებლობა არც ერთ ხელისუფლებას არ აწყობს. არც „ნაციონალებს“ აწყობდათ, ჯიბეში ჩაისვეს და არც ახალ ხელისუფლებას აწყობს, რადგან მისი სხვა მიმართულებით ინსტრუმენტად გამოყენება შეუძლია. სასამართლო ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა სხვა უწყებასთან შედარებით, რადგან რომ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება რომელიმე სამთავრობო უწყების მიმართ, პარლამენტს სასამართლოს მეშვეობით მისი ბათილად ცნობა შეუძლია. ასეთი მნიშვნელოვანი შტო ხელთ უპყრიათ „ნაციონალებს“, რის გამოც სულ გამამართლებელი განაჩენი დგება. ცოტა ხნის წინ გორის სასამართლოში მოსამართლე ნინო გერგაულმა გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა სასჯელაღსრულების მე-15 დაწესებულების დირექტორისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც მიმართ. ეს ის ნინო გერგაულია, რომელიც აშკარად გამოხატავდა სიმპათიებს „ნაციონალური“ მოძრაობის მიმართ და არც ერთი გამამართლებელი გადაწყვეტილება არ აქვს გამოტანილი წლების მანძილზე, სანამ ახალი ხელისუფლება არ მოვიდა.

**— აბა, „ნაციონალები“ რატომღა არიან უკმაყოფილოები, რატომ წუწუნებენ, მათი თანამოაზრეების სასამართლო პროცესების გამო?**

– მეტის მიღება უნდათ, სრული ამნისტია უნდათ და ამით აჩვენებენ ყველას, ვითომდა ბერკეტები დაკარგეს, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. ამოიღეთ სტატისტიკა და ნახავთ, ერთი გამამტყუნებელი განაჩენი არაა გამოტანილი და დასჯითაც არავინ ისჯება. მოსამართლე ესებუა „ნაციონალების“ წარბშეუხრელი მონა იყო, დღემდე აგრძელებს „ნაციონალების“ დაცვას იმის გამო, რომ იგივე პრივილეგიები და თანამდებობა შეინარჩუნოს. ის მუშაობდა იმ საქმეებზე, რომელიც ეხებოდა



*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

## პატიმრის ცემის გამოძიებას მოითხოვენ

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ პატიმრის ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გამოძიებას მოითხოვს.

„2013 წლის 19 დეკემბერს №17-ე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 19-მა მსჯავრდადებულმა შიმშილობა დაიწყო მათ მიმართ წარმოებული საქმეების გადახედვის მოთხოვნით. მოშიმშილე მსჯავრდადებულები განათავსეს ე.წ. „ბურში“.

21 დეკემბერს 3 მოშიმშილე პატიმარი ეტაპირებაზე გამოიძახეს. მათ შორის ერთ-ერთმა, ამირან ფატოევმა პროტესტი გამოხატა და ითხოვა განმარტება, მოშიმშილე პატიმრის ეტაპირება რა აუცილებლობას წარმოადგენდა. ფატოევის გადმოცემით, ამ დროს მსჯავრდადებულებთან მოულოდნელად გამოვიდა დაახლოებით 30 თანამშრომელი, მათ შორის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი ალექსანდრე ბირთველიშვილი, რომელმაც პატიმრებს განუცხადა, რომ იგი მათ მოთხოვნებზე პასუხის გაცემას არ აპირებდა. ამ დროს სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა ამირან ფატოევს საყელოში მოკიდა ხელი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით ნიკაპში დაარტყა, დაუჭირა ხელები და დაუწყო ჯანჯღარი. შემდეგ კი კედელზე არტყმევინა თავი“, – აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში.

მათივე ინფორმაციით, ინციდენტის შემდეგ, დაახლოებით 15 წუთში, პატიმარი ეტაპირებაზე გამოიძახეს და №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს. ორგანიზაციის განცხადებით, სხვა პატიმრებთან ერთად, იგი დღემდე განაგრძობს შიმშილობას, თუმცა, მოშიმშილეებთან პრობლემების გასარკვევად არავინ მისულა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გაგა მკურნალიძე ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს. მისი ადვოკატის რომეო საჯაიას თქმით, მკურნალიძის განცხადებაში საუბარია, როგორ ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა და მუქარები პროკურატურის მხრიდან.

„მას მოსთხოვეს, ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მიეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ, რომ მას წაუყენებდნენ ახალ ბრალდებას. მან უარი განაცხადა ამ ჩვენების მიცემაზე, რის გამოც რამდენიმე კვირის წინ მას დაუმძიმდა ბრალდება. ასევე, გაგა მკურნალიძეს სურს, საზოგადოებას პირველად უთხრას იმ ფაქტის შესახებ, რომ ის არის ერთ-ერთი მოწმე საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის საქმეზე, სადაც მას იძულებით და მუქარით მიაცემინეს ცრუ ჩვენება ადეიშვილის მიმართ. ეს განცხადება არის მისი ხელმოწერილი“, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე განცხადებით, მკურნალიძეს სურდა ეს ყველაფერი ეთქვა სასამართლო პროცესზე, თუმცა მიაჩნია, რომ სიმართლის თქმის გადადებას აზრი არ აქვს და სურს საზოგადოებას ამ ფაქტის შესახებ ახლა აცნობოს. (ინტერპრესნიუსი)

## ქონების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანიაო



ადრიატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის ნატაშა სრდოკის განცხადებით, ქვეყნისთვის, რომელსაც დემოკრატიაზე სურს გადასვლა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, დამოუკიდებელი სასამართლო და ქონების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

„რეიტინგებში საქართველოს საკმაოდ მაღალი ქულა აქვს 8 კატეგორიაში. შედარებით სუსტად შეფასდა ქვეყანაში შექმნილი კანონის უზენაესობა ორი მიმართულებით: ქონებრივი უფლებების დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა. ეს პრობლემა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ახასიათებს. შესაბამისად, ქვეყნისთვის, რომელსაც დემოკრატიაზე სურს გადასვლა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, დამოუკიდებელი სასამართლო და ქონების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა ნატაშა სრდოკმა.

მისი თქმით, საქართველო მთლიანობაში, რეგიონში მაგალითია იმისა, როგორი უნდა იყოს თავისუფლება ბიზნესის დარგში და საინვესტიციო სფეროში.

კითხვაზე, როგორ ახსნიან ინდექსის ავტორები საქართველოში არსებულ ინფლაციის მაღალ დონეს, უმუშევრობასა და მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებადზე ნაკლებ ზრდას, ნატაშა სრდოკმა უპასუხა, რომ მაღალი ინფლაციის პრობლემა, სავარაუდოდ, მონეტარული თავისუფლების კატეგორიაში მომავალ წელს დაფიქსირდა.

„ტრადიციულად, რომელიმე წლის ინდექსი წინა წლის ივნისის მონაცემების ჩათვლით დგება. 2014 წლის ინდექსში 2013 წლის ივნისამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შედგა. მაღალი ინფლაციის პრობლემა, სავარაუდოდ, მონეტარული თავისუფლების კატეგორიაში მომავალი წლის ინდექსში დაფიქსირდება. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, აქ პოზიტიური ცვლილება ბევრ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის უმუშევრობასა და ინვესტიციაზე“, – აღნიშნა სრდოკმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## სავაჭრო პალატა დაფუძნდა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ „სამხრეთ აფრიკა-საქართველოს სავაჭრო პალატის“ დამფუძნებელ შეხვედრას უმასპინძლა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პალატის დამფუძნებელ წევრებად დარეგისტრირდა 20-მდე სამხრეთ აფრიკული და ქართული კომპანიის წარმომადგენელი და ინდივიდუალური მეწარმე.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა პალატის წესდება და აირჩია მმართველი კომიტეტის წევრები. პალატის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ბიზნესმენი, ლამბერტ ტერონი, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ აფრიკაში წარმატებით ეწევა ბიზნესსაქმიანობას სხვადასხვა სექტორში და უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები საქართველოში ბიზნესპროექტების განსახორციელებლად.

„პალატის ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ლამბერტ ტერონმა მადლობა გადაუხადა დამფუძნებელი კრების წევრებს მისთვის მინიჭებული ნდობისთვის, ასევე, დააფიქსირა მადლიერების გრძნობა პრეტორიაში საქართველოს საელჩოსა და ელჩის მიმართ პალატის დაფუძნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. ბატონმა ტერონმა განაცხადა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა პალატის საქმიანობა ნაყოფიერი გამოდგეს თითოეული წევრისთვის და მოხდეს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ბიზნესის სხვა სფეროებში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაცია“, – ნათქვამია საგარეო უწყების ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# სასამართლო რეფორმას თეა წულუკიანი ბლოკავს?

*მეთერთმეტე გვერდიდან*

იარაღის ჩადებას, წვრილმან ხულიგნობას და ითხოვდნენ გირაოს სახით ქონების ჩადებას, მაგრამ ამ შეღავათსაც არ იყენებს, რადგან თავის დროზე მას აქვს შეფარდებული პატიმრობა მათთვის. სამაგიეროდ, ახლა თუ იგივე დანაშაულს ჩაიდენს „ნაციონალი“, პრობლემა არაა, მაშინვე შეუფარდებს გირაოს. კუბლაშვილმა ყველა თანაშემწე და მდივანი დანიშნა მხოლოდ ერთგულების პრინციპით, არც ერთი მათგანი არ ბრწყინავს სამართალმცოდნეობით, მაგრამ მათი მუშაობა წახალისდა იმიტომ, რომ წლების მანძილზე უერთგულეს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ახლაც აქტიურად იყენებენ მათ. მოსამართლე საქმეს არ აკეთებს და თანაშემწეები უწერენ დაკვეთილ სიტყვას.

**— ახალ ხელისუფლებას რატომ არ აქვს მკვეთრად გამოხატული უკმაყოფილება სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ?**

– თავად ხელისუფლებას უნდა, სასამართლოს მეშვეობით, „გაპრავდნენ“ „ნაციონალები“. სხვა შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასამართლო რომ იყოს, ყველა უკანონო გადაწყვეტილებას გადასინჯავდნენ, თუნდაც ქონების ჩამორთმევასთან მიმართებაში. ახალ ხელისუფლებას არ სურს, დაუშვას ერთი პრეცედენტი მაინც, რომ გადაისინჯოს ქონების ჩამორთმევის საკითხი, რადგან მეორე შემთხვევის ჯერი რომ დადგება, ჩავარდებიან ცუდ მდგომარეობაში. არის ქონებები, რომლებიც გაასხვისა სახელმწიფომ და აქ სხვა სამართლებრივი მიდგომაა საჭირო, მაგრამ არის ქონება, რომელიც სახელმწიფოს აქვს მითვისებული და მისი დაბრუნებაც კი არ ხდება. დღევანდელი ხელისუფლების კარნახით აბსოლუტურად აბსურდული არგუმენტებით ხდება საქმეების გადავადება. მე მყავდა ერთი კლიენტი, რომელსაც დიდძალი ქონება წაართვეს ქუთაისში და მოსამართლე ჩუბინიძემ საქმე ადგილიდან არ დაძრა. ახალი ხელისუფლების პირობებში მოსამართლეებმა ხელფასის მომატებით მიიღეს გარანტიები, რომ ხელშეუხებლები იქნებიან. წლევანდელ ბიუჯეტში პენსია არ იმატებს და ისედაც გამდიდრებული მოსამართლეები უარესად წახალისდნენ.

მოგიყვებით კონკრეტულ ფაქტს. ციხეში არაადამიანური მოპყრობის გამო გარდაიცვალა სერგო კეკელაშვილი. მთელი 3 წლის მანძილზე სასამართლო მიზანმიმართულად აჭიანურებდა საქმეს და როგორც იქნა, დააკისრეს სასჯელაღსრულების სამინისტროს 10 000 ლარი. გამოდის, რომ საქართველოში სიცოცხლე ღირს 10 000 ლარი, ანუ ერთი მოსამართლის ხელფასი. ეს კიდევ არაფერი. უსირცხვილოდ გაასაჩივრა ეს საქმე სოზარ სუბარმა. ეს არის საქმე, რომელიც სტრასბურგში იხილებოდა და გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება. დღეს დგას ასეთი რეალობა, ამ გასაჩივრება-გამოსაჩივრებაში ამ ფულის გადახდას არ აპირებს ადამიანი, რომლის ქონებრივი დეკლარაციები მასშტაბებს გასცდა და რომელმაც მინისტრობის დროს დიდძალი ქონება დააგროვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილმა, რომელსაც 3 თვეა, აწერია ეს საქმე, წარმოებაში არ მიიღო. ისედაც გაჭიანურებულია ეს საქმე და წარმოიდგინეთ, რამდენი გაჭიანურება ელოდება კიდევ. ასეთი ფაქტი უამრავია და იცით, რატომ? მოსამართლეები პროცესს ნიშნავენ ისე, რომ საქმე წაკითხულიც არ აქვთ, გამოაქვთ შაბლონური გადაწყვეტილებები და თუ ეღირსა დაზარალებულს რამე კომპენსაცია, აღსრულება ხდება ისეთ დროს, რომ დაზარალებული კი არა, შეიძლება მისი ოჯახის წევრებიც არ იყვნენ ცოცხლები. მოსამართლეების ფორმალურმა მიდგომებმა დაღუპა ქვეყანა და დღემდე ასე გრძელდება.

**— აბა, წულუკიანი რომ ამბობს, ახალ სასამართლო რეფორმას ვიწყებო?**

– რა რეფორმაზეა საუბარი? მოსამართლეები მათთვის არასასურველ საქმეებს ყრიან, ან სხვას გადასცემენ. ნებისმიერ შემთხვევაში საქმეზე არ გამოდის სწორი გადაწყვეტილება. საწყალ ხალხს არ უხდიან კომპენსაციას, სამაგიეროდ საჩუქრებში ყრიან ბიუჯეტის ფულს, მოგზაურობას არ იკლებენ, მანქანებს, რესტორნებსა და პრივილეგიებს. მათ არ სურთ უბრალო მოკვდავებზე იმ შეღავათების გაწევა, რაც კანონით ეკუთვნით. შეგნებულად მიმდინარეობს ტენდენცია, რომ ხალხს სამართლებრივ ბრძოლაზე ხელი ჩააქნევინონ და ყველა არ წავიდეს სასამართლოში თავისი უფლებების დასაცავად. ფაქტობრივად, ახალი ხელისუფლების პირობებში სახეზეა ტენდენცია, რაც შეიძლება მეტი პრივილეგია მიიღონ „ნაციონალების“ ერთგულმა მოსამართლეებმა. ქართველი ხალხი კი არავის აინტერესებს, ერთმანეთის გატანაზე ფიქრობენ.

ვანო წიკლაური არის ერთი მოსამართლე, რომელიც ისე იღებს გადაწყვეტილებას, რომ საერთოდ არ იხედება საქმეში. კანონმდებლობის თანახმად კი არა, შინაურულად და მეგობრობის გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას. ახლა რა ქნას ადამიანმა სიმართლის ძიებაში? სტრასბურგი ჩაიკეტა, აპელაცია საქმეებს არ იხილავს, თუ ვინმე „ნაციონალ“ ჩინოვნიკს არ ეხება. გასაჩივრებასაც არ აქვს აზრი. არაფრის მომტანია არაკვალიფიციური, არაპროფესიონალი თეა წულუკიანის გახმაურებული განცხადება სასამართლო რეფორმის შესახებ.



ის ცდილობს, სასამართლო იყოს არა ხალხის მსახური, არამედ ხელისუფლებების მსახური. არანაირი ბერკეტი არ არსებობს, უბრალო ადამიანმა თავი დაიცვას უსამართლობისგან.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კომისია განსაკუთრებულ საქმეებს განიხილავს



შეწყალების კომისია განსაკუთრებულ საქმეებს შორის დავით კეკუტიას საქმეს განიხილავს. კომისიის წევრის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით:

„რამდენიმე განსაკუთრებული საქმეა. მაგალითად, დავით კეკუტიას საქმე. ის რამდენიმე წელია სასჯელს იხდის მერაბ ყოლბაიას ჩვენების საფუძველზე, რომელმაც აღიარა, რომ მისი ჩვენება იყო ძალადობით და ზეწოლით მიღებული. ეს არის ერთ-ერთი ტერორისტების საქმიდან. არის ასეთი რამდენიმე საქმე, რომლის განხილვასაც ვაპირებთ, თუმცა კრიტერიუმები არის განსხვავებული. ჩვენ უმრავლესობა უნდა გვქონდეს, რათა მსგავსი საქმეები გადაწყდეს“, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ბოლო კვირების განმავლობაში კომისიაში ბევრი საქმე შემოვიდა, თუმცა მათი განხილვა შეწყალების მომდევნო ეტაპისთვის იგეგმება.

კომისიის ერთ-ერთი წევრის, ბასა ჯანიკაშვილის ინფორმაციით, კომისია რეკომენდაციას გაუწევს იმ პატიმრებს, ვისზეც მიიჩნევენ, რომ ისინი საზოგადოებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენენ და თავისუფლებას იმსახურებენ. ჯანიკაშვილის თქმით, დანაშაულებრივი თვალსაზრისით ბევრი საქმე მძიმეა და კომისიას მძიმე საქმეებზე დადებითი რეკომენდაციის გაცემა გაუჭირდება. (ინტერპრესნიუსი)

## იენსენი უგულავაზე წუხს



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლის მაიკლ იენსენის განცხადებით, შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ პირდაპირი წესით არჩეულ მერს სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილება შეუჩერდა.

მისი თქმით, ეს განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სულ მალე ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარდეს. „რა თქმა უნდა სამართლებრივი დევნისგან თავისუფალი არავინ არის, მაგრამ გარკვეული თავშეკავება უნდა იყოს სასამართლოს მიერ, როდესაც ვსაუბრობთ არჩეულ თანამდებობის პირზე“, – განაცხადა იენსენმა. მისივე თქმით, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის საკითხს ისინი აუცილებლად მიადევნებენ თვალყურს და ეს მათ ანგარიშშიც აისახება. (ინტერპრესნიუსი)

## 1,1 მილიარდით 10 პროექტი დაამტკიცა

„თანაინვესტირების ფონდის“ ხელმძღვანელის გიორგი ბაჩიაშვილის განცხადებით, ფონდმა 1,1 მილიარდი დოლარის ღირებულების 10 პროექტი დაამტკიცა. მისი ინფორმაციით, ძირითადად პროექტები ენერგეტიკის სფეროში სჭარბობს, თუმცა რამდენიმე პროექტია უძრავ ქონებაში, ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაში.

„ჯამში, საუბარია 1,1 მილიარდი დოლარის ინვესტიციაზე საქართველოს ეკონომიკაში“, – განაცხადა ბაჩიაშვილმა. მისი განმარტებით, თანხის 60% ენერგეტიკულ სექტორზე ნაწილდება, 20-20% კი უძრავ ქონებაზე, ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე.

საუბარია დასავლეთ საქართველოში რძის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე, რომლის პროექტის ღირებულება 50 მილიონი დოლარია. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში აშენდება ჰესების კასკადი, 400 მეგავატი დადგმული სიმძლავრით, რამდენიმე სასტუმრო აშენდება თბილისში და ერთი – ბორჯომ-ბაკურიანში. (ინტერპრესნიუსი)



დღის ალიაქოთი



# ქუთაისი თბილისში თუ ვისი ქუჩა ვის ქალაქში!

გუშინაც ვივარაუდე, რომ ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიზნესმენების შეხვედრა საინტერესოდ ჩაივლიდა, მაგრამ თუ ასეთი საინტერესო იქნებოდა, ნამდვილად არ მეგონა. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დავით ბეჟუაშვილიც მივიდა და მერე ტელევიზიით კომენტარიც გააკეთა, საინტერესოდ ვისაუბრეთო. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ბეჟუაშვილი თეთრი წყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია, მანდატიც აქვს და სხდომებსაც ესწრება. შესაბამისად, მას ბიზნესინტერესები არ უნდა ჰქონდეს და არც ბიზნესსაქმიანობას უნდა ეწეოდეს. ბეჟუაშვილი კი არც მალავს, რომ ბიზნესმენია და თან პარლამენტარი. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ამბობს, წლების განმავლობაში ბეჟუაშვილი ნაციონალების შავ სალაროში მილიონებს რიცხავდა და პასუხი მოსთხოვეთო, მაგრამ ისე ჩანს, ნაცნავიდან გადამხტარი ბატონი დავითი ნაციონალებს ახლოს აღარ ეკარება და ახალი ხელისუფლების „ოცნებების“ ასრულებითაა დაკავებული, რაც თავისთავად ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს.

რომ არა ზურაბ ტყემალაძე, ბეჟუაშვილის ბიზნესმენ-პარლამენტარობა, ალბათ, მთავარი თემა იქნებოდა, მაგრამ როგორც ძველი პრეზიდენტი იტყოდა, ვერ მოგართვით. ტყემალაძემ განაცხადა, პარლამენტის თბილისში დაბრუნება ისე შეგვიძლია, კონსტიტუციას საერთოდ რომ არ შევეხოთო. მისი აზრით, რუსთაველის რვა ნომერი, ანუ ის ადგილი, სადაც თბილისში პარლამენტის შენობაა, ქუთაისის თვითმმართველობას გადაეცეს. შედეგად, კონსტიტუციაში მითითებული განმარტება, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა იყოს, არ დაირღვევა, კონსტიტუციურ ფარგლებში მოექცევა და პარლამენტარებიც თბილისში ივლიან, ოღონდ ქუთაისის კუთვნილ ტერიტორიაზე. როგორია? უფრო ზუსტად, რავარია? ამ მცოცავი ოკუპაციის ფონზე, საქმე იქითკენ მიდის, რომ საქართველო ბოლოს მართლა მარტო თბილისი დარჩება და გვქონდეს რუსთაველზე ქუთაისი, გლდანში ხაშური, მუხიანში ზესტაფონი, ნუცუბიძეზე მესტია და საერთოდაც, მტკვარი დიღმის ხიდიდან მეტეხის ხიდამდე რიონი იყოს, მეტეხს იქით ისევ მტკვარი ორთაჭალამდე, მერე ყვირილა, მერე ენგური და ასე... მერე არკვიონ, ვისი ქუჩა ვის ქალაქში იქნება და ვისი მდინარე ვის კალაპოტში ივლის.

ბევრს შესაძლოა, გაეცინოს, მაგრამ კარგად რომ დავფიქრდეთ, ასეთი პრაქტიკა ბევრ რამეში შეიძლება განვახორციელოთ და სარგებელიც ვნახოთ. მაგალითისთვის, საქართველოში არსებული ყველა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება რომელიმე რუსულ ქალაქს დავუქვემდებაროთ და მერე ვანახვებთ რუსებს, როგორ უნდა ოკუპაცია. მავთულხლართები შემოვლებულია, ძალოვნებიც დგანან და მეტს კი არაფერს აკეთებენ შიდა ქართლსა და აფხაზეთში რუსები.

ამ იდეით ქართული ეკონომიკის განვითარებაც შეიძლება. სოფელი ყარაჯალა დავუქვემდებაროთ მონაკოს სამეფოს, მსოფლიოში კვადრატული მეტრი ყველაზე ძვირი სწორედ მონაკოში ღირს და ვყიდოთ მერე ეს მიწა ნაჭერ-ნაჭერ და მერე რა, თუ ადგილობრივებს საძოვრები აღარ ექნებათ, სამაგიეროდ ყარაჯალაში კაზინოები აშენდება, „ფორმულა-1“-ის ტრასა დაიგება და იქ ჩასულ სტუმარს ადგილობრივი აზერბაიჯანელი სალამ ალეიქუმ-ის ნაცვლად „ბონჟურ“-ს რომ გეტყვის.

საფრანგეთი ტყუილად არ მიხსენებია. აბა, თუ იცით, რით ჰგვანან ერთმანეთს საფრანგეთისა და საქართველოს პრეზიდენტები? სწორია – ორივეს ოფიციალური მეორე ნახევარი არ ჰყავს და ორივე მეგობარ ქალთან ერთად ცხოვრობს. ჩვენი პრეზიდენტი ჯერ ახალია და ჯერ ბოლომდე ვერ გაუგო მუღამი ამ თანამდებობას, ოლანდმა კი აიწყვიტა და ცნობილ მსახიობ ჟიული გაიესთან გააბა რომანი. უფრო მეტიც, ოლანდმა თავისი რომანის შესახებ არც მოქმედ მეგობარ ქალს დაუმალა და ამ ამბის გაგებისთანავე ფრანგთა პირველი ლედი ნერვიული აშლილობით საავადმყოფოში მოხვდა. ისე, რა უცნაური ქალები ჰყავთ ფრანგებს რა, ჩვენი პრეზიდენტის თავგადასავლებზე ნერვიული შეტევები რომ ჰქონოდა მის მეორე ნახევარს, საავადმყოფოში საცხოვრებლად უნდა გადასულიყო.

რადგან ყოფილი პრეზიდენტი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ მისი ძმა დავით სააკაშვილი ხატია დეკანოიძეს დაშორდა. ხატია ხომ გახსოვთ, თვალებფახულა მინისტრი რომ იყო და ჩვენს განათლებაზე რომ ზრუნავდა? ჰოდა, თუ ადრე ამბობდნენ, უმცროს სააკაშვილს პერსპექტივის გამო გაჰყვაო, ახლა ისე ჩანს, გაურკვეველ პერსპექტივას გარკვეული რეალობა არჩია და დაშორდა. არადა, რის იმედად დაშორდა, ვერ გეტყვით, მარგველაშვილს ძმა არ ჰყავს და...

რამდენიმედღიანი გაუჩინარების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა გიგი უგულავა და აეროპორტიდან პირდაპირ სასამართლოში მივიდა, რადგან მისი სასამართლო პროცესი ისევ გრძელდება. უგულავამ კი თქვა, ჩემს საქმეს პოლიტიკური სარჩული უდევსო, მაგრამ, როგორც ირკვევა, მასთან ერთად საქმეში გასულ დავით კეზერაშვილს ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ფირმების ანგარიშზე მილიარდზე მეტი უნახეს და წყლიდან მშრალად ამოსვლა გიგილოს აშკარად გაუჭირდება. ერთი ეგ ვერ გავიგე, როცა კეზერას მილიარდი აქვს და მას და გიგის ერთ საქმეზე ედავებიან, გირაოს ფულისთვის ამ ჩვენმა „ნამერალმა“ სიდედრის ბინა რატომ დააგირავა? თუმცა, რაღა რატომ, კეზერაშვილი ფრანგულ ციხეს ხეხავს და ყველაზე ნაკლებად ახლა, ალბათ, უგულავაზე ფიქრობს.

ია ფარულავამ ისევ მიიქცია საზოგადოების ყურადღება და აღნიშნა, ბოლო დროს ყველგან წასვლა მეზარება, არც ქეიფი მინდა და არც დროსტარება, ნეტავ დავბერდი თუ ... (აქ რაც იას ეწერა, ჩვენთან ცენზურას ვერ უძლებს). ატყდა ერთი ამბავი იმის განსახილველად, რა დაემართა ფარულავას და ცოტა არ იყოს, უცნაურ შედეგამდე მივიდა ეს ყველაფერი. მეგობრები და ახლობლები დიდის ამბით წერენ, რა დროს შენი სიბერეაო. სიმართლე გითხრათ, მეც ვერ ვატყობ ამ ქალს დაბერებას და რა გამოდის? თუ არ დაბერებულა, ესე იგი ... (ცენზურა ვერც ამას უძლებს).

დასასრულ, ქართველი ქალები ევროპული კვლევის მიხედვით საშუალოდ რთულად „შესაბმელთა“ სიაში არიან. როგორც სხვა შემთხვევებში, ევროპული გამოკითხვები არც ამ შემთხვევაშია მართალი, რადგან ქართველი ქალის შებმის სირთულე ჩვენთან იმის მიხედვით იზომება, რა თანამდებობა უკავია შემბმელს.

P.S. რამდენი ხანია, ტელევიზიით სააკაშვილი აღარ გამოჩენილა და ნოსტალგიის გასაქარვებლად, სამშაბათს ღამის ეთერში „რუსთავი 2“-მა მხატვრული ფილმი „გოძილა“ აჩვენა.

ლევან ღვინიაშვილი



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს მუსლიმანებს სხვადასხვა წინამძღვარი ჰყავთ



აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს სხვადასხვა წინამძღვარი ჰყავთ. „სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველომ“ 9 იანვრის კრებაზე დასავლეთ საქართველოს სუნიტთა მუფთად კვლავ ჯემალ პაქსაძე აირჩია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სუნიტთა მუფთი იასინ ალიევი გახდა. საქართველოში მცხოვრებ როგორც ქართველ, ასევე აზერბაიჯანელ სუნიტ მრევლს, 2014 წლამდე მხოლოდ ერთი წინამძღვარი ჰყავდა.

როგორც მუფთი ჯემალ პაქსაძე განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ სამუფთო, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველი მუსლიმანების პრობლემებსა და საკითხებს დასავლეთის სამუფთო გადაწყვეტს. მისივე განმარტებით, ცვლილებები მოხდა აზერბაიჯანულ მრევლში.

„19 ხმით, ღია კენჭისყრაზე ერთხმად ამირჩიეს. მე ვარ სრულიად საქართველოში მცხოვრები ქართველი სუნიტების მუფთი. კახეთში, თბილისსა თუ წალკაში მცხოვრები ქართველი მუსლიმანები იქნებიან ჩვენზე დამოკიდებულნი და მათ საკითხებს ჩვენ მოვაგვარებთ. რაც შეეხება აზერბაიჯანელ მორწმუნეებში ცვლილებებს, შიიტების ხელმძღვანელი გადადგა და აირჩიეს ახალი შეიხი, ხოლო სუნიტების მუფთი იასინ ალიევი გახდა“, – აღნიშნა პაქსაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმანთა კავშირის“ ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე სამუფთოს ორად გაყოფას „სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს“ არაკომპეტენტურობას უკავშირებს:

„ჩვენი სურვილი იყო მუსლიმანთა სამმართველოს დაფუძნება. სახელმწიფომ ეს გაითვალისწინა და 2011 წელს მუსლიმანთა სამმართველო დააფუძნა. თუმცა დამფუძნებლებად ისეთი პირები წარმოადგინა, რომლებიც მუსლიმანებისთვის უცნობი ადამიანები არიან, ისინი მეჩეთშიც არ დადიან და მუსლიმანებად ნაკლებად აღიქვამენ თავს. გამოდის, რომ სახელმწიფო ვერ ენდობა მუსლიმან თემს და ცდილობს, საკუთარი კონტროლის ქვეშ მყოფ ადამიანებს დააფუძნებინოს ორგანიზაცია, რომ შემდეგ აკონტროლოს“, – აღნიშნა ტარიელ ნაკაიძემ.

სამუფთოს გაყოფის შესახებ განცხადება სრულიად საქართველოს მუსლიმანთა უმაღლესი სამმართველოს თავმჯდომარემ მირ ჰუსეინ ასადოვმა გააკეთა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ნამოქმედარი ახალმა ხელისუფლებამ გაიმეორა. (ინტერპრესნიუსი)

## პატარკაციშვილის ოჯახის განცხადება



ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი განცხადებას ავრცელებს:

„იმ მიზნით, რომ დასრულდეს სპეკულაციები და ცილისწამება ჩვენი ოჯახის მიმართ წინა მთავრობასთან დადებულ მორიგების აქტთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მზაობას, რომ აღნიშნულ დოკუმენტს მოეხსნას გრიფი „საიდუმლო“ (გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ოჯახის მხრიდან შესაბამისი თანხმობა გაცემულია ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე)“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მამაკაცების უმრავლესობა ქალ მეგობართან სექსუალურ ურთიერთობებზე უარს არ იტყოდა



ბევრი ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე, მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ საკმაოდ გავრცელებულიცაა. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მუშაობენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან, მაგრამ ინტიმურ კავშირებს კი ერიდებიან. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია „მხოლოდ მეგობრები ვიყოთ“, თუმცა რომანის გაბმის ალბათობა ყოველთვის რჩება და შეიძლება ყველაზე შეუფერებელ მომენტში გაჩნდეს.

ვისკონსინ-ოკლერის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მეგობრების 88 წყვილი შეისწავლეს. ყველა მონაწილე კონფიდენციალურობასა და ანონიმურობაში დაარწმუნეს, რათა პასუხები გულახდილი ყოფილიყო. წყვილები გააცალკევეს და თითოეულს დაუსვეს კითხვები, რომლებიც მეგობრის მიმართ რომანტიკული გრძნობების არსებობა-არარსებობას ეხებოდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ საწინააღმდეგო სქესთან მეგობრობას მამაკაცები და ქალები სხვადასხვაგვარად უყურებენ. კერძოდ, ძლიერ სქესს უფრო ხშირად იზიდავს მეგობარი, ვიდრე პირიქით. გარდა ამისა, მამაკაცი უფრო ხშირად ფიქრობს, რომ მეგობარი მის მიმართ ასევე არ არის გულგრილი.

მოკლედ, შეიძლება თუ არა ქალისა და მამაკაცის მეგობრობა? თუკი საკითხს ქალის მხრიდან მივუდგებით, კი, შეიძლება! მაგრამ თუკი მამაკაცის თვალით შევხედავთ, შეიძლება, ოღონდაც ასეთი მეგობრობა ადვილად გადავიდოდა რომანში.

***factroom.ru***

## რეკლამა ადამიანის ქვეცნობიერებას კლავს?



სამსახურიდან გადაღლილ-გადამწვარი ბრუნდებით სახლში და სავარძელში ღონემიხდილი ეშვებით? იცით, შესაძლოა, ამაში დამნაშავე სულაც არ იყოს თქვენი დაძაბული გრაფიკი?! ჩვენი ტვინი შეუგნებლად ამუშავებს ნებისმიერ დაწერილ ტექსტსა და არითმეტიკულ ოპერაციას, რომელიც მხედველობის არეში მოხვდება. თუკი გავიხსენებთ, რომ მთელი ქალაქი სარეკლამო ბილბორდებითაა აჭრელებული, წარწერებით, ფასებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი გადატვირთულია ქვეცნობიერი.



– ადამიანს შეუძლია შეასრულოს არითმეტიკული ოპერაციები და გააანალიზოს ენობრივი კონსტრუქციები ისე, რომ არც კი ფიქრობდეს, რას აკეთებს, ანუ ქვეცნობიერად, – ამბობენ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სპეციალისტები.

ექსპერიმენტებისას მოხალისეებს შესთავაზეს, მხედველობა „გაეორებინათ“. ანუ მარცხენა თვალით არითმეტიკული ჯაჭვისთვის შეეხედათ, მარჯვენათი კი – ფერადი გეომეტრიული ფიგურებისთვის. მკვლევართა თქმით, ასეთი პროცედურა დავალებაზე კონცენტრირების საშუალებას არ იძლევა და ამდენად, მოხალისეები ნორმალურად ვერც კი ხვდებოდნენ, რას უცქერდნენ. შემდეგ რესპონდენტებს აჩვენეს რიცხვები, რომლებსაც უკვე ორივე თვალით უყურებდნენ და მათი ხმამაღლა დასახელება სთხოვეს. ის რიცხვები, რომლებსაც მანამდე მოხალისეები მხოლოდ ცალი თვალით ხედავდნენ, გაცილებით სწრაფად იქნა ჩამოთვლილი, თითქოს, ტვინი მათ უკვე „იცნობდა“. იმის გამო, რომ მოხალისეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, არითმეტიკული ოპერაციები გონებით შეესრულებინათ, დაასკვნეს, რომ ტვინმა ეს უკვე ქვეცნობიერად გააკეთა. ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული ტექსტის წაკითხვის დროსაც.

ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანების ქვეცნობიერი, განსაკუთრებით მათი, ვინც მეგაპოლისებში ცხოვრობს, მუდმივად დაძაბულია, რასაც დადებითი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

***golosscience.com***

## თითოეულ შვეიცარიელს უფლება აქვს, კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს



ასეთი არცთუ ადვილად გადასადგმელი ნაბიჯით, შვეიცარიის ხელისუფლება ცდილობს, მარიხუანას არალეგალურ მოყვანა-გაყიდვას შეებრძოლოს. ლოგიკა იმაშია, რომ თუკი ადამიანს მარიხუანას მოხმარება სურს და უყვარს, მოსაწევს ნებისმიერ შემთხვევაში იშოვის. ამდენად, ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სჯობს, მცენარე თავადვე გაზარდოს, ვიდრე ფულის გადახდით ნარკობიზნესი გააძლიეროს.

საინტერესო ნიუანსი: იმდენად, რამდენადაც შვეიცარიის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, ქოთანში კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს, თუკი ოჯახში 4 ადამიანი ცხოვრობს, მათ შეუძლიათ, ერთბაშად 16 ბუჩქზე იზრუნონ. ეს უკვე კაი გემრიელი პლანტაციაა, თუმცა სრულიად კანონიერი...

***facte.ru***

## მობილური ტელეფონების გამოყენება გადამდებია, როგორც მთქნარება



ზოგიერთი ქალი იტყვის ხოლმე: „თავი გაგიხმა, მთქნარება მეც გადამდეო...“ არა, თავის გახმობა რა შუაშია, რა, ძალით დაამთქნარა იმან, ვინც დაამთქნარა?! ოხ, ეს ქალები, რა?!

მოკლედ, გეცოდინებათ, რომ მთქნარება მართლაც გადამდებია და თურმე ასევე ყოფილა მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში: საკმარისია, კომპანიაში ერთმა ადამიანმა ამოიღოს ჯიბიდან მობილური და მასში ძრომიალი დაიწყოს, რომ მისი გარშემომყოფებიც მაშინვე ხელში ტელეფონს იმარჯვებენ. ხუთი წუთიც არ გადის და მთელი კომპანია ზის და მობილურ ტელეფონს ჩაჰკირკიტებს. ახალ კვლევაშიც სწორედ ამაზეა ლაპარაკი: ტელეფონი გადამდებია ისევე, როგორც მთქნარება.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარები სტუდენტური ქალაქის სასადილოებსა და კაფეებში ახალგაზრდებს 4 თვის მანძილზე აკვირდებოდნენ. ჰოდა, დადგინდა: 10 წამის მანძილზე, რაც თქვენი ნაცნობი ხელში მობილურს დაიჭერს, შანსი იმისა, რომ თავადაც ანალოგიურად მოიქცევით, 39,5 პროცენტია.

– მობილურის გადამდებობა სხვა არაფერია, თუ არა სოციალური გაუცხოების შედეგი, რომელიც იმ მომენტში ჩნდება, როცა თქვენთან ურთიერთობისას თანამოსაუბრეს ყურადღება სხვა რაღაცაზე გადააქვს. თქვენც აღარაფერი გრჩებათ, გარდა იმისა, რომ მოახდინოთ დემონსტრირება – მარტო არც მე ვარო, – განმარტავენ ექსპერიმენტის ავტორები. მათივე თქმით, ასეთი ქცევა, ჩვეულებრივ, ახალგაზრდებისთვისაა დამახასიათებელი.

***mainfun.ru***

## გრძნობენ თუ არა მწერები ტკივილს?



ალბათ, ბავშვობაში ერთხელ მაინც გიწამებიათ გამადიდებელი შუშით ბუზი ან კალია, შემდეგ კი გინერვიულიათ, რატომ მოვიქეცი ასე ცუდად, მასაც ხომ ძალიან ეტკინებოდაო... ჰოდა, გვსურს, სინდისის ქენჯნისგან ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაგათავისუფლოთ...

მოდით, ჯერ ტკივილის ზუსტ მეცნიერულ განსაზღვრებას გაგაცნობთ: „ქსოვილის რეალური ან პოტენციური დაზიანების უსიამოვნო სენსორული და ემოციური განცდა“. ამის პარალელურად, ტკივილის ძალისა და მისი გადატანის უნარი ძალიან ინდივიდუალური საკითხია.

ძაღლი, რომელიც შუშაზე თათს დაიზიანებს, საცოდავად დაიწკავწკავებს და გაიქცევა. ადამიანიც, ანალოგიურ სიტუაციაში ერთს შეჰყვირებს, ალბათ, გემოზეც შეიგინება, მაგრამ დადგენა, ვის უფრო მეტად ეტკინა, შეუძლებელია. ამდენად, იმის შესწავლისას, თუ როგორ გრძნობენ ცხოველები ტკივილს, ანალოგიის მეთოდი არ გამოიყენება.

მეცნიერების თქმით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ადამიანებისგან და ცხოველებისგან განსხვავებით, მწერებს ტკივილის შეგრძნება საერთოდ არ გააჩნიათ. საქმე ისაა, რომ მწერებისა და კიბოსნაირთა შესწავლისას, არავითარი კვალი ნოციცეპტორებისა (რეცეპტორები, რომლებიც ტკივილის შესახებ ინფორმაციას თავის ტვინს აწვდიან) აღმოჩენილი არ ყოფილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ გარეშე ნახსენებ არსებებს ტკივილის შეგრძნება უბრალოდ, არ შეუძლიათ.

რა თქმა უნდა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ბუზების წამებას კვლავ დაუბრუნდეთ. ისე მოგიყევით ამის შესახებ, სასხვათაშორისოდ...

***tainamira.ru***

## გულის შეტევის შემდეგ, ნიორი დაგეხმარებათ



მართალია, ერთ-ერთი ყველაზე უხერხული საჭმელია ნიორი, მაგრამ იმდენი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა, სპეციალისტები მის შესახებ ახალ-ახალ აღმოჩენებს ლამის ყოველთვიურად აკეთებენ.

ნივრის სხვა სასარგებლო თვისებებზე ჩვენც ბევრჯერ გვაქვს მოყოლილი, მორიგი სიახლე კი იმას გულისხმობს, რომ მას შეუძლია ისეთი ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც ინფარქტგადატანილი ადამიანისთვის ჰაერივით საჭიროა.

გარდა ამისა, ნიორი რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვისაც, ვინც გულის უკმარისობას განიცდის ან ოპერაცია აქვს გადატანილი.

კანადელი კარდიოლოგების ინფორმაციით, ნიორი თავის სასარგებლო თვისებებს ტრისულფიდის დიალილს უნდა უმადლოდეს, ნივთიერებას, რომელიც გულს გოგირდწყალბადით ამარაგებს.

მღრღნელებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ნიორი გულის ქსოვილების დაზიანებას მთელი 61 პროცენტით იცავს.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სახალისო ფაქტები სიმპსონებზე





– ჰომერი 36 წლისაა, მარჯი – 34-ის, ბარტი – 10-ის, ლიზა – 8-ის, ხოლო მეგი – 1 წლის.

– ერთი სერიის გადაღება დაახლოებით 1 800 000 აშშ დოლარი ჯდება.

– დასაწყისში მულტფილმის მთავარი გმირი ბარტი იყო, თუმცა პირველი ორი სეზონის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მაყურებელი გაცილებით მეტად ჰომერით მოიხიბლა, რის გამოც სცენარისტებმა თავდაპირველი გეგმები რადიკალურად შეცვალეს.

– ერთ სერიაზე მუშაობა 6-დან 8 თვემდე გრძელდება. პარალელურად, წარმოებაშია, როგორც წესი, ერთდროულად 10 ეპიზოდი.

– ჰომერი მეტ გროუნინგის (იდეის ავტორის) მამის სახელია. მარჯი – მისი დედის მარგარეტის ვარიაცია ყოფილა, ლიზა და მეგი კი მისი დები არიან.

– როგორც წესი, ყოველი სერიის ტიტრებში მხოლოდ ერთი სცენარისტის გვარ-სახელი იწერება. რეალურად, ეპიზოდზე 14-20 ავტორი მუშაობს. ზოგჯერ კონკრეტული სცენარისტის გვარ-სახელი მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ ტიტრებში მისი გვარ-სახელის დაწერის რიგი მოვიდა. თუმცა ყველაზე ხშირად მთავარ ავტორად მიიჩნევა ის, ვინც „შავი“ სცენარის პირველი ვარიანტი დაწერა.

– ყოველი სცენარის გადაწერა (კოლექტიურად) 12-ჯერ ხდება.

– ამას რთულად თუ შეამჩნევ, მაგრამ სიმპსონები იდეალური ამერიკული ოჯახია. ცოლ-ქმარი კანონიერ ქორწინებაშია, რეგულარულად დადიან ეკლესიაში, ჰყავთ სამი შვილი, ოჯახის უფროსს კი მუდმივი სამსახური აქვს.

– 1998 წლამდე ექვს წამყვან მსახიობზე, რომლებიც სერიალს ახმოვანებდნენ, 30 ათასი აშშ დოლარი იყო გამოყოფილი. თანხა არტისტებს შორის გაწეული სამუშაოს პროპორციულად ნაწილდებოდა. რამდენიმე გაფიცვის შემდეგ, გამხმოვანებლებზე უკვე 400 ათასი აშშ დოლარია გამოყოფილი და თანხა კვლავაც ძველი წესით ნაწილდება.

– უკანასკნელი მონაცემებით, „სიმპსონების“ მაყურებლის საშუალო ასაკი 30 წელია.

– ქალაქ სპრინგფილდის სახელწოდება გროუნინგმა იმის გამო აირჩია, რომ ის ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტოპონიმია. ამერიკის რუკაზე ამ სახელის მქონე 34 ქალაქია დატანილი.

– მართალია, „სიმპსონები“ გროუნინგმა შექმნა, მაგრამ ყველა უფლება სერიალზე ტელეკომპანია „ფოქსს“ ეკუთვნის.

– გვარი სიმპსონი ითარგმნება, როგორც გულუბრყვილო, მიამიტი კაცის შვილი.

*maximonline.ru*



„ალია-ჰოლდინგი“
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძპაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქვანიშვილი
რედაქციის მისამართი:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად
ხელმოწერილია 12.30

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®
დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით.
სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.




სკანვორდი
ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

პასუხები: 1. მამონტი; 2. პერიმეტრი; 3. „ამოკი“; 4. მარტინი; 5. „ვიი“; 6. ბაკულას; 7. პროპანი; 8. ირონია; 9. ეპიტაფია; 10. მარალი; 11. მორი; 12. ულან-ბატორი; 13. ნალბანდი; 14. ბილინგვა; 15. დიადემა; 16. ნატურმორტი; 17. კოალა; 18. კოტიტა; 19. ნოსტე; 20. კანტორა; 21. მაინ; 22. ასფალტი; 23. ტომატი; 24. კიო; 25. მართვე; 26. მაინა; 27. ირიბი; 28. ლიმა; 29. ფინი; 30. კოლიბრი; 31. ტაო; 32. ტიტა; 33. კლუნი; 34. ლისაბონი; 35. ნიურნბერგი; 36. ედი; 37. ემე; 38. საუნა; 39. კივი; 40. ამარეტო; 41. სანტი; 42. აბანოთუბანი; 43. რქა; 44. ანატოლი; 45. იმპორტი; 46. ტოტო; 47. მედეა; 48. ნამი; 49. მარია; 50. როსი; 51. ბარონ; 52. ბერიმორი; 53. მაო; 54. ლაქა; 55. რენე; 56. ბამბა; 57. ოდა; 58. კომო; 59. ფრე; 60. მია; 61. მასიმო; 62. პრადო; 63. „კაბარე“; 64. რომ; 65. ფარი; 66. პინა; 67. პიერო; 68. იენა; 69. ედემი; 70. ტორფი; 71. მონრო; 72. ნალია; 73. ორბი; 74. ელა. იკითხება: მიკროსკოპი.

# „ეს ყველაფერი მართლაც ჰგავს შეთქმულებას, რაც არ წაადგება ჩვენი ქვეყნის რეპუტაციას“

## „ჩვენნაირი ინვესტიცია ბოლო წლებში საქართველოში არ განხორციელებულა“

ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ საყდრისში „აღმოჩენილი“ ოქროს მაღაროს გამო კულტურის სამინისტროსა და ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მქონე „RMG gold“-ს შორის სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ, თუ საქმეში საქართველოს მთავრობა არ ჩაერია, შეიძლება, მოვლენები უმართავი გახდეს. „ის, რომ ძეგლის სტატუსი ბათილად იქნა ცნობილი, არ ნიშნავს იმას, რომ ის ძეგლი არ არის!“ – აცხადებს კულტურის სამინისტრო, კერძოდ კი – მინისტრის პირველი მოადგილე მიზანდარი. „იცოდნენ, რომ სანამ საქართველოს მთავრობის დადგენილება არ იქნება, მაგათი ფეხი არ დაიდგმება საყდრისში. ეგ ჩვენი სალიცენზიო ტერიტორიაა და ამისი სრული უფლება გვაქვს“, – ამას კი კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ. რადგანაც სანახევროდ ორსულობა ბუნებაში არ არსებობს და ორსულობა ან ფიქსირდება, ან არა, მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ „RMG gold“-ს ეს ტერიტორია ეკუთვნის, თუ არ ეკუთვნის.

ოქროსმომპოვებლები ასევე აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული ფართომასშტაბიანი ინფორმაციული ომი მიმდინარეობს. ჩვენ შევძელით რამდენიმე დოკუმენტის მოპოვება, რომელთაგან ერთ-ერთს, კერძოდ, გერმანელი არქეოლოგის თომას შტოლნერის მიერ 22 აგვისტოთი დათარიღებულ კონფიდენციალურ წერილს ვაქვეყნებთ, საიდანაც ჩანს, რომ ეს ადამიანი ჩუმად ხლართავს ინტრიგებს და, ფაქტობრივად, აწყობს შეთქმულებას კომპანიის, ასევე პრაქტიკულად სამთავრობო სტრუქტურების წინააღმდეგ. გთავაზობთ წერილიდან მოკლე ამონარიდებს, აქვე ვიტყვით, რომ ადრესატები გერმანელი კოლეგები არიან:



**„ძვირფასო ბატონო ბრიუგგერჰოფ, ძვირფასო ანდრეას, ძვირფასო ჯენნი.**

**(კონფიდენციალურია, ჯერ მე დამელაპარაკეთ).**

**გიგზავნით ჩვენ დოკუმენტებს, რომელიც დაკავშირებულია საყდრისთან. სიტუაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც კომისიის დასკვნის გამო ძეგლს სტატუსი მოეხსნა. ჩვენი მიზანია, კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება. ამ მიზნით უნდა მოხდეს საერთაშორისო შეფასების კომიტეტის ჩამოყალიბება, რათა მოვიგოთ (გავწელოთ) დრო. მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო ზეწოლა, რათა მივაღწიოთ იმას, რომ აღდგეს საყდრისის უძრავი ძეგლის სტატუსი. ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებგვერდზე და მან უნდა მიაღწიოს ყველა მეცნიერამდე. დრო არ ითმენს, მოქმედებათა გეგმაზე მე დეტალურად ვესაუბრე ირინას (იგულისხმება ირინა ღამბაშიძე) და დავით ლორთქიფანიძეს.**

**ასევე ჯენნი, გთხოვ, მოიფიქრე და ბატონ ბრიუგგერჰოფთან, პეტრა ეიზენახთან და ინგა შნეპელთან ერთად შეათანხმეთ, როგორ წარმოვადგინოთ ჩვენს ვებ-გვერდზე თემა „მსოფლიოს უძველესი ოქროს მაღაროს დანგრევა“. ორიგინალური ტექსტების პროექტებს მაშინ zeta-downloader-ით გამოვგზავნიდი.**

**პატივისცემით, თომას შტოლნერი“.**

რა ჰქვია ამას? ინტრიგა? შეთქმულება? და ეს ინტრიგა თუ შეთქმულება ხომ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდაა დაგეგმილი? ამ ქვეყანაში ვინ იღებს გადაწყვეტილებებს? – მთავრობა თუ შტოლნერი? არის თუ არა ეს დასჯადი?

ის ფაქტი, რომ ირინა ღამბაშიძე დღეს გერმანიაშია და ყველანაირი ხერხით (მათ შორის დიპლომატიურითაც კი!!!) ცდილობს, მოახდინოს საქართველოს მთავრობაზე ზეწოლა, მისთვის და შტოლნერისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების მიზნით – არის თუ არა ეს ინტრიგა? შეთქმულება? და ამას არა თუ მხარს უჭერს, არამედ პირდაპირ ლობირებს ქ-ნი მიზანდარი – მინისტრის პირველი მოადგილე! რომელიც ოდიშარიაზე ზემოქმედების მიზნით ხშირად იწვევს გერმანიის საელჩოს მაღალჩინოსნებს და სთხოვს მათ დახმარებას, რათა ოდიშარიამ გააუქმოს თავისივე ბრძანება. კომენტარი ზედმეტია. სანდო წყაროს ცნობით, აკადემიის პრეზიდენტის, კვესიტაძის მეორე, უკვე შეცვლილი წერილი სწორედ კულტურის სამინისტროში დაიწერა მიზანდარისა და დავით ლორთქიფანიძის უშუალო მონაწილეობით, რომელიც მერე როინ მეტრეველს, ასევე მათ თანამებრძოლს წაუღია აკადემიაში და ერთი აყალმაყალის შემდეგ აიძულეს კვესიტაძე მასზე ხელი მოეწერა. ერთი რამ კი გამორჩათ – აკადემიის წერილს რატომღაც კულტურის სამინისტროს ნომერი აქვს დასმული! არის თუ არა ეს იმ გეგმის ნაწილი, რომელზეც შტოლნერი საუბრობს თავის წერილში?

რადგან ევროპელმა მეცნიერებმა ნაკლებად იციან რეალობა, ბუნებრივია, შტოლნერს ეს მეცნიერები ნამდვილად დაუდგებიან გვერდით, რადგანაც აქ თომას შტოლნერის ვერცხლისმოყვარეობა არსად ჩანს, ყველაფერი გადაფარულია ნათელი იდეით: ქართველი ბარბაროსები და მათი ბარბაროსი მთავრობა ანგრევენ ძეგლს. ამ დროს გამოჩნდა კეთილი სამარიტელი თომასი, რომელმაც უნდა იხსნას მსოფლიო ცივილიზაცია. მაგრამ რა გზით? რა მეთოდებით? თომას შტოლნერი ხომ ევროპელი მეცნიერია, რომელმაც შესანიშნავად იცის, რომ, თუ ვიღაცა მას უსამართლოდ მოექცა, წესით, უნდა წასულიყო სასამართლოში, მაგრამ აქ ასე არ ხდება! რატომ არიდებს თავს მეცნიერი ამ გზით სიმართლის გარკვევას, იმიტომ ხომ არა, რომ „აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავი?“ ის, რომ მსოფლიო გაგიგებს, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს არა უსამართლობასთან, არამედ ჩვეულებრივ შარლატანობასთან, რისი დიდოსტატიც შტოლნერია?

**გვესაუბრება „RMG gold“-ის დირექტორი სოსო ცაბაძე:**

– სხვათა შორის, შტოლნერის ანკესს წამოეგო ბოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, სვენდ ჰანსენი, კულტურის სამინისტროს კომისიას წერილი მოსწერა 22 მაისს, მაშინ, როცა კომისია მხოლოდ 28 მაისს შეიქმნა. ერთი კვირით ადრე რა იცოდა მან ჯერ კიდევ არსებული კომისიის შესახებ? ეს წერილი ეგზავნება ოდიშარიას და იმასაც მეტი რა უნდა, მშიშარას? რაც ყველაზე საინტერესოა, ჰანსენი გვწერს თავის გერმანულ ბლანკზე ქართული სიტყვებით: მე ვიცი, რომ საფრთხეშია ქართული ოქროს მაღაროო და გერმანულ ბლანკზე ეს ყველაფერი წერია ქართულად, მაგრამ ხელს აწერს გერმანულად. დავუკავშირდით ჰანსენის თანაშემწეს და მან ვერ აგვიხსნა, რატომ არის გერმანულ ბლანკზე ქართული წერილი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ წერილის გერმანული დედანი არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, თუ ჰანსენი სიმართლეს გაიგებს, მსგავს წერილს აღარ მოიწერება. ამ დღეებში ირინა ღამბაშიძე ასევე გერმანიაშია წასული და ვეჭვობ, მსგავსი წერილები კიდევ დაიდება კულტურის სამინისტროში. რაც შეეხება შტოლნერს: როცა მეცნიერული კამათი მიდიოდა, თავისდა საუბედუროდ, შტოლნერმა უპასუხა ჩვენს მეცნიერებს და ისეთი შეცდომები დაუშვა, რომ ჩვენი პასუხის შემდეგ ჩაიგდო ენა და ხმა აღარ ამოუღია. ჩვენ შეიძლება დილეტანტები ვართ არქეოლოგიაში, მაგრამ არა გეოლოგიაში ან სამთო საქმეში და კარგად ვიცით, რომ, თუ ოქროს ვხეხავ ფორიან ქვაზე, იქ ოქროს კვალი აუცილებლად უნდა დარჩეს, თუნდაც მილიგრამი. საყდრისში დღემდე მსგავსი ფაქტი არ არის აღმოჩენილი. გაუგებარია, აგრეთვე, როგორ აღმოაჩინეს ჩვენმა წინაპრებმა 5400 წლის წინათ უხილავი ოქრო, რომელიც მხოლოდ ელექტრონულ მიკროსკოპში ჩანს, ან როგორ ამტვრევდნენ რიყის ქვებით კვარცის ზოგჯერ უფრო მკვრივ კლდეებს (ეს იგივეა, ცარცით მარმარილო გავტეხოთ). ასევე, საეჭვოა ისიც, რომ 27 მეტრის სიღრმეში დახურულ სივრცეში ცეცხლს როგორ ანთებდა ოქროს მომპოვებელი. ამაზე პასუხები შტოლნერსა და ღამბაშიძეს არა აქვთ. მეცნიერული კამათი ამით მორჩა და შტოლნერი გადავიდა ზეწოლაზე და კვესიტაძესა და ოდიშარიას ორივეს დააწერინეს საკუთარი დასკვნების უარმყოფელი წერილები. გარდა ამისა, როდესაც სამინისტროს მიერ გამოყოფილმა 11-კაციანმა კომისიამ დადო თავისი დასკვნა, ამის შემდეგ თითქოს თავისთავად თოვლის ფანტელებივით ჰაერიდან ცვივა ე.წ. ალტერნატიული დასკვნები, რომელთა ავტორებიც არიან ის ადამიანები, ვისი ახლობლებიც მუშაობენ ან კავშირი აქვთ ირინა ღამბაშიძის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან. აი, ამ ახალ აბსოლუტურად დილეტანტურ დასკვნებს ეყრდნობა რატომღაც მინისტრი. სად არის ლოგიკა? ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ამას ყველაფერს ქართველების მხრიდან მარინა მიზანდარი ლობირებს და ის უკეთებს ყველაფერს ორგანიზებას. მიზანდარის იდეაფიქსია: ჩვენი კომპანია იქ არ შევა და მორჩა! სულ ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ სამინისტროში ოდიშარიაა მინისტრი, სინამდვილეში იქ მინისტრი მიზანდარია. ოდიშარია დამოუკიდებლად ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს. ამ პერიპეტიების შემხედვარე, რაც სამინისტროში თამაშდება, ჩანს, რომ ესენი არ აპირებდნენ კომპანიის შეშვებას ჩვენივე კუთვნილ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, უკვე ძალიან დავიღალეთ ამდენი ტყუილით: ამ ვითომდა არქეოლოგებს ოქროს ანალიზიც კი არ აქვთ ჩატარებული, როცა კვლევებში უწერიათ, „ოქროს შთამბეჭდავი შემცველობა არის დაფიქსირებული“. აღმოჩნდა, რომ ესეც ტყუილია. გრამიც კი არ არის ერთ ტონაზე შემცველობა, ანუ ფალსიფიცირებულია ყველაფერი. ამიტომ თავს ვთვლით მოტყუებულად, მაგრამ ბრძოლას არ შევწყვეტთ, ამათ ჩვენ იქ არ შევუშვებთ, სანამ არ ჩაერევა საქართველოს მთავრობა და მტყუან-მართალი არ გაირკვევა!

**— ვთქვათ, მთავრობაშიც არ გექნათ მხარდაჭერა, მიმართავთ თუ არა სასამართლოს?**

– რასაკვირველია. ჩვენ უკან დამხევები არა ვართ, ჩვენნაირი ინვესტიცია ბოლო წლებში საქართველოში არ განხორციელებულა, თავიდან სულ რაღაც ნახევარ წელიწადში 200 მილიონ დოლარზე მეტი გადავიხადეთ, ხოლო დღეისთვის უკვე განხორციელებული პირდაპირი ინვესტიცია დაახლოებით 300 მილიონი დოლარია, ჩვენი კომპანიაა, მზარდი ინვესტიციის იყო და არის. ეტყობა, ჩვენ კი ვერ ჩამოვყალიბდით იმ ქვეყნად, რომელიც ინვესტორს აფასებს. საუბრებში ყველა ჩვენს მხარეს არის, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგება, გაუგებარი რაღაცა ხდება: საქვეყნო საქმეს მინისტრის მოადგილე მიზანდარი წყვეტს, მათ შორის, სამთო საქმესაც, ეს გაუგებარია ჩვენთვის და ასე, ნამდვილად ვერ გავფრინდებით. სახელმწიფოს ინტერესი უნდა იყოს ის, რომ მაგიდას მუშტი უნდა დაარტყას მთავრობამ და თქვას, – მორჩით ამ მამაძაღლობას და საქმე გაკეთდესო. მიზანდარი კი პირდაპირ ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს. მიუხედავად იმისა, ის არ იყო კომისიის წევრი, ყველა სხდომას მაინც ესწრებოდა, რისი უფლებაც არ ჰქონდა და არ იყო ეს ზეწოლა? უფრო მეტიც, ნებისმიერი სამართლებრივი აქტი და ბრძანება, რაც კი საყდრისთან იყო დაკავშირებული და, რასაც კი ხელი მოეწერებოდა, ზუსტად 5 წუთში იტვირთებოდა „ფეისბუკის" საყდრისის დამცველების გვერდზე მიზანდარის არასამთავრობოების ხელით. რაც შეეხება არასამთავრობოებს და ესენია „მწვანე მუშტი“, „მწვანე ალტერნატივა" და „ძეგლის მეგობარი", ეს უკანასკნელი სწორედ ამ საკითხისთვის შეიქმნა და, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ ძეგლზე: „ძეგლის მეგობარმა" პირველივე აქცია მოაწყო არა საყდრისში, არამედ სულ სხვა ადგილას, ისიც კი არ იცოდნენ, სად იყო მაღარო. ანუ, ეს არის მართული, დავალებული, დაფინანსებული და ორგანიზებული მოძრაობა და არავითარი კავშირი ამას ძეგლის ნამდვილ გულშემატკივართან არა აქვს. რაც შეეხება მიზანდარის კიდევ ერთ ზეწოლას: 31 ივლისს მიზანდარი წერს წერილს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილს, რადგან ეკონომიკის სამინისტრო არის მიწის მესაკუთრე, სადაც ცალსახად აღნიშნავს, რომ საყდრისზე საკუთრების თანხმობა გასცეს მხოლოდ ირინა ღამბაშიძეზე და არავისზე სხვაზე, რაც, უბრალოდ, დანაშაულია. მიზანდარს ვინ ეკითხება, სამინისტრო ვისზე გასცემს თანხმობას? როგორც შემდეგ გაირკვა, ამას იმიტომ ითხოვდა, რომ არ უნდოდა, ვინმეს ენახა აქ ექსპედიციის შარლატანობა. ქუმსიშვილი ჩვენსავით ენდო ამ სიტყვებს – მიზანდარი, ბოლოს და ბოლოს, მისი კოლეგაა, მინისტრის პირველი მოადგილეა. და მანაც დაუქნია თავი, მაგრამ რა გამოვიდა ამით? მიზანდარმა ორივე მოგვატყუა, ჩვენც და ეკონომიკის სამინისტროც და ამაზე პასუხიც არ აგო! ეს ნორმალურია? ერთი რამე კი მოვახერხეთ: მხოლოდ ჩვენი მონიტორინგის ქვეშ უნდა მომხდარიყო ირინასა და შტოლნერის ექსპედიციის მუშაობა. რა ხდება? მათ მუდამ ჩვენი ხალხი დაჰყვებოდა კამერებით და აღმოჩნდა, რომ კამერების ქვეშ ექსპედიციამ ვერაფერი ვერ იპოვა და 5 სექტემბერს შეწყვიტა კიდეც მუშაობა. რატომ ვერ იპოვა ვერაფერი მეცნიერებათა აკადემიის მონიტორინგის ქვეშ მომუშავე არქეოლოგების ჯგუფმა, რომელმაც ამავე ტერიტორიაზე ოქტომბერ-ნოემბერში იმუშავა? ისმის კითხვა, რატომ პოულობს ეს ხალხი „მსოფლიო მნიშვნელობის“ არტეფაქტებს მხოლოდ მაშინ, როცა არავინ უყურებთ? ვიმეორებთ, რომ კარგად დაიმახსოვრონ, ტერიტორიაზე არ შევუშვებთ ცოცხალი თავით, სანამ საქართველოს მთავრობის დადგენილება არ იქნება, მაგათი ფეხი არ დაიდგმება იქ. ჩვენი სალიცენზიო ტერიტორიაა და ამის სრული უფლება გვაქვს. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონმდებლობის შესაბამისად.



Lieber Herr Brüggerhoff, lieber Andreas, liebe Jenny

ჩვენ შევეცადეთ, დავკავშირებოდით ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს დიმიტრი ქუმსიშვილს, რადგანაც მისმა სახელმა უკვე რამდენჯერმე გაიელვა ჩვენს წერილებში, და მისთვის გვეკითხა, რა ხდება? როგორ აფასებს ეკონომიკის სამინისტრო მომხდარს, მაგრამ მან, სამწუხაროდ, ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

ჩვენ ვცდილობთ დამატებითი მასალებისა და ინფორმაციის მოპოვებას. ისე კი ეს ყველაფერი მართლაც ჰგავს შეთქმულებას თუ სამეფო კარის ინტრიგას, რაც არ წაადგება, ალბათ, ჩვენი ქვეყნის რეპუტაციას.